# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 2 აგვისტო 2005 №174 (2497) ფასი 50 თეთრი




**გოგიტა გოგუა ჩეჩნეთშია**

ტერეკთან კონტრაქტს ცოტაღა უკლია

4



**ვინ არის დმიტრი პიტერმანი?**

ოდესელი ამერიკელი ესპანელი

9



**ქართველების რევანში**

ახალგაზრდების ხურდა უნგრელებს ბადეტებმა დაუბრუნეს

12

# ამერეთის ნიავი

## რვაფეხა ან დაგვახრჩობს, ან აგვაშენებს

გუშინ ქუთაისსა და თბილისში „ტორპედო“ — „ამერისა“ და „ლოკომოტივ“ — „სიონის“ მატჩებით დასრულდა საქართველოს ჩემპიონატის სამ დღეზე გაშლილი პირველი ტური. უმაღლესი ლიგის დებიუტანტებმა ქვეყნის სამგზის ჩემპიონებს 1:0 სძლიეს, ლოკომოტიველები და ბოლნისელები კი ფრეზე გაიყარნენ. ჩემპიონატის პირველ სამდღიურში საკუთრივ ფეხბურთზე საინტერესო მისი მკვდრეთით აღდგენილი მასშტაბი გახლდათ — თექვსმეტგუნდიანი ჩემპიონატის ყოველი ტური რვა ფეხზე დგას. ამრიგად, ეს ქომაგთა და რვაფეხას პირველი ნაცნობობა იყო, დანარჩენი კი წინ გველის...



ტორპედო — ამერი თბილისელი სულიკო დავითაშვილის (მარჯვნივ) გოლით დაიწყო და ასეც დამთავრდა

# მონრეალში წყალი დაშრა



AFP მონრეალიდან

მონრეალში გასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევართვიანი ეპოპეა, რომელიც პლანეტის ცხრა რეკორდმა დაამშვენა. ბოლო დღეს ჩემპიონატი მსოფლიო რეკორდით დააგვირგვინა ავსტრალიელმა ჯეიდ ედმისტოუნმა, რომელმაც ამ წარმატებას 50 მეტრზე ბრასით ცურვაში მიაღწია — 30,45

საქართველოს XVII ჩემპიონატი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

უმაღლესი ლიგა · პირველი წრე · 1 ტური

# ამერმა ქუთაისში კილოგრამები დატოვა

ქუთაისი. 1 აგვისტო. 17.30 საათი. ტორპედო. 1 000 (ტევადობა 20 000)

## ტორპედო 0:1 ამერი

0:1 დავითაშვილი (5)

**ტორპედო:** რევიშვილი, ხურცილავა, რატი ბარაბაძე, ებრალიძე, ონიანი, პ. შალამბერიძე (ქურციკიძე 20), ბურჯანაძე, ტეხოვი (ჯაში 46), ლალაძე (გორგოძე 23), დოლონაძე, მ. ღონღაძე
*სათადარიგონი:* გ. ბარაბაძე; დეისაძე, ჩახუნაშვილი, გორგოძე, ა. კვერნაძე
**მწვრთნელი:** რევაზ ბურკაძე

**ამერი:** ნიკურაძე, დავითნიძე, ბერიანიძე, ხვადაგიანი, გ. კვახაძე (ელბაქიძე 38), დეკანოსიძე, სილაგავა, კოშკაძე (გ. ჩხეტიანი 46), კაიდარაშვილი (ბულაგა 75), დავითაშვილი, წინამძღვრიშვილი
*სათადარიგონი:* ნადირაშვილი; გვაძაბია, ნიკოლაიშვილი, ნ. ნადირაძე
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**გაფრთხილება:** კაიდარაშვილი (45), ხვადაგიანი (46), ბურჯანაძე (48), დავითნიძე (54), დოლონაძე (55), ონიანი (59), ბარაბაძე (69)

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); გ. ასკაროლლი (ქარელი)

**ინსპექტორი:** მ. ჭელიძე



ცოტაც და, სულიკო დავითაშვილი მატჩის ერთადერთ გოლს გაიტანს

**დავით თავართქილაძე** ქუთაისიდან

„ამერი" უმაღლესი ლიგის დებიუტანტია, თუმც ამ „ტორპედოზე" ბევრად გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავს და საამსეზონოდ ქუთაისელებზე ბევრად უკეთ მოემზადა, მაგრამ გუშინ „ტორპედოს" ძლევა ძალიან გაუჭირდა.

ქუთაისში თამაში ნებისმიერი გუნდისთვის რთულია, თუმც ეს „ტორპედო", ფაქტობრივად, რამდენიმე დღის გუნდია ახალი მწვრთნელითა და ახალგაზრდა ფეხბურთელებით.

როგორც უნდა იყოს, „ამერმა" ქუთაისიდან სამი ქულა წაიღო და თუ გუნდებმა გუშინ ხარისხიანად ვერ ითამაშეს — სხვათა გარდა, ეს პირველ ტურსაც დავაბრალოთ.

...რატი წინამძღვრიშვილი მარცხნიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმო მოედანში, კარის გასწვრივ გაგზავნა ბურთი, რომლის ბადეში გამხვევი არავინ გამოდგა. „ამერმა" პირველივე წუთებიდან სცადა ჰუკაპერკოტები, თუმც გოლი კინალამ აქეთ გაუშვა — არმაზ დოლონაძის თავური გიორგი ნიკურაძის კარის ძელს ჩაეხახუნა.

ამერელებმა კვლავ გაიწიეს გასატანად და გარჯა დაუფასდათ კიდეც: მე-5 წუთზე სულიკო დავითაშვილმა ჩინებულად შეიგდო ბურთი „ტორპედოს" საჯარიმოში, საყვარელ ცაციაზეც კარგად გაისწორა ის და ნუკრი რევიშვილს დაბალ კუთხეში შეუცურა — 0:1.

თბილისელები არ დაცხრნენ, კიდევ ეწადათ გატანა, მაგრამ გიორგი სილაგავას ჩაწოდებულზე წინამძღვრიშვილი ოდენ ძელსგარტყმულ ბურთს გამორჩა. ამის შემდეგ „ამერი" თითქოს მოდუნდა, უფრო ინერციით უტევდა, თუმც ხანდახან სახიფათოდაც. გამოსარჩევი იყო ამერელთა ერთი მრავალსვლიანი კომბინაცია, რომლის ბოლოს გიორგი დეკანოსიძემ ალექსანდრე კაიდარაშვილს უპასა და... რევიშვილმა კუთხურზე მოიგერია ბურთი.

ამის მერე კარგი შანსი გაუშვეს ხელიდან დავითაშვილმა და დეკანოსიძემ, ხოლო „ტორპედო" თანდათან იშტაზე მოდიოდა, აქაოდა, „ამერს" ჩვენთვის ერთ გოლზე მეტის გატანა არ შეუძლიაო. მოკლედ, „ტორპედოს" ჟინი მოემატა და რამდენიმე სუმბურული, თუმც არცთუ სუსტი იერიში მიიტანა მეტოქეზე.

მეორე ტაიმი „ამერმა" პირველზე უარესად ითამაშა, ხოლო „ტორპედომ" პირიქით. ამერელთა მეკარისა და მცველების შეცდომით მამუკა ღონღაძემ ვერ ისარგებლა, თორემ გამათანაბრებელის შეგდება შეეძლო.

გიორგი ჩიხრაძემ ტაქტიკურ შეცვლას მიმართა — სილაგავა მარჯვნიდან მარცხენა ფლანგზე გადასწია, ხოლო მარჯვნივ ალექსანდრე კოშკაძის ნაცვლად შესული გივი ჩხეტიანი გაამწესა. „ამერის" ფლანგელებმა მეორე ტაიმში რამდენჯერმე კი გაამწვავეს თამაში, მაგრამ უშედეგოდ. ამერელებს წუნი მოუხშირდათ, მოძრაობა უჭირდათ — ქუთაისში ისეთი ჩახუთულობა იყო, ზოგიერთმა ფეხბურთელმა მატჩის შემდეგ 3-4 კილოგრამი დაიკლო — რამდენიმე ამერელი სასწორზე საამისოდ საგანგებოდ აიწონა თამაშის შემდეგაც. თუმც იგივე პირობებში ირჯებოდნენ გამოუცდელი ტორპედოელებიც, რომელთაგან შეუპოვრობით შუახაზელი გიგა ბურჯანაძე გამოირჩა.

„ამერმა" კარი მშრალად კი შეინახა, მაგრამ მისმა დაცვამ დიდად ვერ იყოჩაღა — რომ არა ვახტანგ ხვადაგიანი, ამერელთა გამარჯვებას არცთუ პატარა კითხვის ნიშანი დაესმებოდა.

ქუთაისელებმა მატჩის ბოლო შვიდ-რვა წუთში თითქოს ბოლო ძალა მოიკრიბეს და შლეგად შეუტიეს — „ტორპედომ" ორწუთიან მონაკვეთში რეტი დაასხა მეტოქეს — ბურჯანაძის ჯარიმა ნიკურაძემ კუთხურზე მოიგერია, ცოტაც და, ნიკურაძე არმაზ დოლონაძის ახლო თავურზე გაიწვართა ჰაერში, დამატებაზე გიორგი ჯაშს უნდა გაეტანა, მაგრამ მიზანს ააცილა.

## პრესკონფერენცია

*გიორგი ჩიხრაძე:* ვიცოდით, რომ რა პრობლემები ჰქონდა „ტორპედოს" სეზონის დაწყების წინ, მაგრამ ქუთაისში თამაში ყოველთვის ძნელია. ჩვენს გუნდში გამოცდილი ფეხბურთელები კი არიან, მაგრამ „ამერი" უმაღლეს ლიგაში პირველად თამაშობდა, რასაც ძღელვარებაც ახლდა. თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ვარ. „ამერი" ამ სეზონში საერთაშორისო სარბიელზე გასვლისთვის იბრძოლებს. რაც შეეხება ნიკურაძეს, ის ოპტიმალურ ფორმაში ჯერ არაა, მაგრამ მისი კვალიფიკაციდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, მაინც ვათამაშეთ.

*რევაზ ბურკაძე:* „ტორპედო", ფაქტობრივად, ხუთი დღის გუნდია და ჩვენთვის ახლა მთავარია, ამ ახალგაზრდა ფეხბურთელებს სწორი თამაში ვასწავლოთ. „ამერი" კი ამ დროისთვის მომზადების დონით ჩვენზე მაღლა დგას. პირველი წრის შემდეგ „ტორპედო" ამაზე უკეთესი იქნება, ხოლო ერთი წლის შემდეგ ჩვენ უკვე მართლაც კარგი გუნდი გვეყოლება. მალე რამდენიმე ფეხბურთელი კიდევ დაგვემატება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ცხინვალი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ამერი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ბათუმი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ზესტაფონი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| კოლხეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| დილა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სიონი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლოკომოტივი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ტორპედო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| თბილისი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ბორჯომი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| სპარტაკი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| კახეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| სოხუმი | 1 | .0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |





## საფრანგეთი

II დივიზიონი. I ტური

გენგამი 1:1 სედანი

საქართველოს 17 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
1 ტური
პირველი წრე
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

თბილისი. 1 აგვისტო. 17.30 საათი. მიხეილ მესხი. 500 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 1:1 სიონი

1:0 რ. ონიანი (58), 1:1 ჩიკვილაძე (69)

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი: შეყრილაძე, სეთურიძე, გ. ონიანი, მაჭკილაძე, რ. ონიანი, საჯაია, ინომოვი, ქებაძე, სირაძე, კახელიშვილი, ალავერდაშვილი (მ. ფლენტი 71) სათადარიგონი: ჩალაძე, თავბერიძე, ყიფიანი, ჩივაძე, გაბლაია, დ. ფოფხაძე მწვრთნელი: ნოდარ აკობია | სიონი: ბობლიაშვილი, კობაური, სვანიძე, ჩიკვილაძე, რაქვიაშვილი, გ. დოლიძე (ოქროპირიძე 59), ხმალაძე, ბოლქვაძე (აგალიანი 75), კვიტაიშვილი (ქუცურუა 82), დვალი, მიკუჩაძე სათადარიგონი: გავაშელი, ქარდავა, ჩაჩუა, კორსანტია მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი |

გაფრთხილება: მიკუჩაძე (18), ბოლქვაძე (26), რ. ონიანი (41), ჩიკვილაძე (69), გ. ონიანი (72), რ. ონიანი (74), სვანიძე (77), ქებაძე (79)

გაძევება: რ. ონიანი (74)

მსაჯები: ლ. სილაგავა (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. მენთეშაშვილი; დ. კვეტენაძე (ორივე თბილისი)

ინსპექტორი: ა. მილჩენკო

# ეს სხვა სიო(ნი)ა
## ლოგიკის გრიალი და ბარათების ფრიალი

ილია ნანობაშვილი

...58-ე წუთზე შეტევაში ჩართულმა როინ ონიანმა მარცხნიდან ახლო კუთხეში გაუტანა „სიონის" მეკარე მინდია ბობლიაშვილს და „ლოკომოტივი" დააწინაურა, არადა, მანამდეც და ამის შემდეგაც ბოლნისელები უფრო გემრიელად თამაშობდნენ, ლაღად აგორებდნენ ბურთს და თბილისელთა გოლიც თითქოს ალოგიკური ჩანდა.

„სიონი" შმაგად გაიჭრა გასათანაბრებლად. ხვიჩა ქასრაშვილმა კი ერთი შეხედვით უცნაური ცვლილება გააკეთა, როცა მარჯვენა ნახევარმცველ გრიგოლ დოლიძის ნაცვლად მცველი გიორგი ოქროპირიძე გამოიყვანა, მაგრამ ამით უკანა ხაზი სულაც არ ჩაუბეტონებია — დავით სვანიძე ასწია ნახევარდაცვაში და ალბათ სწორადაც მოიქცა. ყოველ შემთხვევაში, „სიონმა" 11 წუთში აღადგინა თანაფარდობა: ლევან ხმალაძის ნაკუთხურალს თენგიზ ჩიკვილაძემ თავური შეაგება და 1:1.

„ბანანცთან" თუ ნახეთ „ლოკომოტივი"? იგივე იყო გუშინაც. ვერ იფიქრებდი, რომ საქართველოს თასის მფლობელი უმაღლესი ლიგის ახლადშეკოწიწებულ გუნდს ეთამაშებოდა. ისე, რატომ უნდა გვეფიქრა? „სიონი" ახლა სულ სხვა გუნდია და, მართალია, მქუხარე ტრანსფერები არ გაუკეთებიათ, მაგრამ ახალგაზრდა და ტექნიკური ბიჭები კი შეკრიბეს.

ბოლნისელების პირველი სერიოზული ჩხვლეტა პირველი ტაიმის შუაწელს იყო, როცა გიორგი კვიტაიშვილმა და კოკა მიკუჩაძემ ჯაბა დვალი მეკარეს შეატოვეს, ექსდინამოელმა კარგადაც დაარტყა, მაგრამ „ლოკომოტივი" ძელმა იხსნა.

შესვენებამდე გუნდებმა თითო მომენტიც გაცვალეს: ჯერ რკინიგზელ გიორგი ალავერდაშვილის პასს არ გამოეხმაურა ვინმე, მერე კი დავით ბოლქვაძემ მიკუჩაძის პასის შემდეგ დაახანა დარტყმა.

საერთოდ, გუნდი ერთ კაცზე არ იწყობა, მაგრამ ვფიქრობთ, დავით სირაძე რომ ფორმაში იყოს, „ლოკომოტივი" უკეთესი იქნებოდა. გერმანიიდან დაბრუნებული სირაძე აშკარად ვერაა თამაშის იმტაზე, გუშინ ვერც უზბეკი ისლომ ინომოვი გამოირჩეოდა და რა მივიღეთ? ის, რომ ბოლქვაძემ და ხმალაძემ „სიონი" ცენტრში გააბატონეს.

და მაინც, თბილისელებს მოგება შეეძლოთ, მაგრამ მინდია ბობლიაშვილთან პირისპირ გასულმა გიორგი კახელიშვილმა რატომღაც არ დაარტყა და მცველებმა სიტუაცია განმუხტეს. ეს მომენტი ბოლო წუთებში იყო, როცა „ლოკომოტივი" უკვე კაცნაკლული თამაშობდა — ამდენი ყვითელი ბარათის ფრიალში როინ ონიანს ორი ერგო.

ისე კი, მთლიანობაში მატჩს უხეში არ ეთქმოდა...

### პრესკონფერენცია

*ხვიჩა ქასრაშვილი:* თანაბარი თამაში იყო და შედეგიც ლოგიკურია. ჩემი აზრით, „ლოკომოტივი" საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა და მასთან სტუმრად ფრე კარგ შედეგად უნდა ჩავვეთვალოს. „სიონში" საკმაო კონკურენციაა, რაც ნებისმიერი მწვრთნელისთვის კარგია, თან გუნდი ახალი დაკომპლექტებულია და იმედია, ტურიდან ტურამდე უფრო შევთამაშდებით. კლუბის ხელმძღვანელობაც მუდამ გვერდში გვიდგას.

*ნოდარ აკობია:* „სიონი" დღეს სულ სხვაა, ვიდრე გასულ სეზონში იყო, მწვრთნელის ხელიც ეტყობა. ჩვენ გვინდოდა, რომ „ბანანცთან" თამაშის შემდეგ ფსიქოლოგიური ტვირთი მოგვეხსნა ბიჭებისთვის, მაგრამ... რაც შეეხება სირაძეს, მას ეტყობა, რომ სათამაშო პრაქტიკა აკლდა — დათოს იმ პოზიციაზე ვათამაშებთ, რომელსაც უფრო მოერგება.

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

# ყაზახებმა შესაძლებელი შეადგინეს

საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი ჯერ გზაშია, მაგრამ 17 აგვისტოს ყაზახეთთან სათამაშოდ ვინმემ ხომ უნდა გაიყვანოს გუნდი?!



სერგეი ტიმოფეევი

ამასობაში, ყაზახთა მთავარმა მწვრთნელმა სერგეი ტიმოფეევმა საამხანაგოდ გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა და მოდით, გავეცნოთ:

***მეკარეები:*** *იური ნოვიკოვი (ირტიში), დავით ლორია (შახტიორი);*

***მცველები:*** *ალექსანდრ ფამილცევი (ტომი, რუსეთი), იგორ ავდეევი (1შახტიორი), სამატ სმაკოვი (კაირატი), რენატ დუბინსკი (ურალი, რუსეთი), ფარხადბეკ ირისმეტოვი (კაირატი), ალექსანდრ კუჩმა (რუხი, პოლონეთი), მაქსიმ ზუევი (ვოსტოკი);*

***ნახევარმცველები:*** *ანდრეი კარპოვიჩი (კაირატი), მაქსიმ ნიზოვცევი (ტობოლი), ნურბოლ ჟუმასკალიევი (ტობოლი), ანტონ ჩიჩულინი (ჟენისი), მაქსატ ბაიჟანოვი (ირტიში), სერგეი ლორინი (ალმათი), მაქსიმ აზოვსკი (ალმათი), ნიკიტა ხოხლოვი (ჟენისი), ალექსეი შაკინი (ვოსტოკი);*

***თავდამსხმელები:*** *ოლეგ ლიტვინენკო (ალმათი), დენის როდიონოვი (ატირაუ), ალექსანდ კროხმალი (ორდაბასი), დანიერ კენჟეხანოვი (ვოსტოკი).*

ტიმოფეევის მსგავსად, ქართველებთან სათამაშო შემადგენლობა ყაზახთა ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებელმა, წარსულში უკრაინული „დნიპროს" ცნობილმა ფეხბურთელმა ანტონ შოხმაც გამოამზიურა. ახალგაზრდების მატჩი 16 აგვისტოს გაიმართება. აქვე დავამატებთ, რომ „პატარა" ყაზახეთიც "დიდის" დარად ჯგუფის აუსტაიდერია, თუმცა ეროვნული ნაკრებისგან განსხვავებით, 3 ქულა კი აქვთ აქტივში — თურქებს შინ სძლიეს.

მოკლედ, 16 აგვისტოს შეღვება კობა ჟორჟიკაშვილის დებიუტი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის პოსტზე.

შოხის რჩეულები კი ესენი არიან:

***მეკარეები:*** *ალექსანდრ გრიგორენკო (1985, ატირაუ), ჟასულან დევხანოვი (1987, ორდაბასი);*

***მცველები:*** *ილია ფოროტნიკოვი (1986, ირტიში), აბზალ ჟუმაბაევი (1986, ალმათი), ტიმურ მოლდავალიევი (1984, ჟელეზნოდოროჟნიკი), პირალი ალიევი (1984, ატირაუ), ევგენი ტარასოვი (1985, ვოსტოკი), ალექსანდრ კიროვი (1984, ვოსტოკი);*

***ნახევარმცველები:*** *ვლადიმირ იაკოვლევი (1984, თარაზი), ვიტალი ევსტაგნეევი (1985, თარაზი), კანად ალიევი (1985, სემეი), სერგეი სკორიხი (1984, ირტიში), ნურთას კურგულინი (1986, თარაზი), ვადიმ ბოროვსკი (1986, ალმათი), სერგეი ჩერკიშინი (1987, ბოლატი);*

***თავდამსხმელები:*** *ნიკოლაი სოლომინი (1985, ესილ-ბოგატირი), ოლეგ ნედაშკოვსკი (1987, თარაზი), აიდარ არგიბაევი (1986, ჟელეზნოდოროჟნიკი), რომან იურტაევი (1984, ორდაბასი), ჟანდოს ორაზალიევი (1985, ჟელეზნოდოროჟნიკი).*

ილია ნანობაშვილი

# ბრონდბიუ იგებს და აიაქსზე ფიქრობს

თბილისის „დინამო" დღეს დილით გაფრინდა კოპენჰაგენში, სადაც დღესვე საღამოს „ბრონდბი სტადიუმზე" ივარჯიშებს. ხვალ კი შეეცდება, მინიმალურ შანსს ბოლომდე ჩაებღაუჭოს. „ბრონდბიუ" — „დინამოს" საჩემპიონთალიგო საპასუხო შეხვედრა 3 აგვისტოს, თბილისის დროით თერთმეტის თხუთმეტ წუთზე დაიწყება.

ამასობაში კი მიქაელ ლაუდრუპის გუნდმა დანიის ჩემპიონატში მიჯრით მესამე თამაში მოიგო და უდანაკარგოდ ლიდერობს. „ბრონდბიუმ" სტუმრად „ესბიერგს" 3:2 აჯობა, გოლები კი მადს იორგენსენმა (მე-10 წუთზე) და კიმ კრისტენსენმა (69, 71) გაიტანეს. შეგახსენებთ, „ტვენტედან" „ბრონდბიუში" ახალგადასულ კრისტენსენს თბილისში ტრავმის გამო არ უთამაშია, „ესბიერგთან" კი 65-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე და სულ რაღაც ხუთ წუთში დუბლი გამოაცხო.

ლაუდრუპმა ნამატჩევს აღნიშნა, რომ მისი გუნდი მშვენიერ ფორმაშია. დიდმა დანიელმა „აიაქსიც" ახსენა — ვეცდებით, მესამე ეტაპზე ამსტერდამელებიც გავაგდოთო. „ესბიერგთან" „ბრონდბიუმ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ანკერგრენი, სენელსი, აგერი, ნილსენი, რიტერი (ფილდენტოფტი 79), ლორენცენი, დაუგაარდი (რეტოვი 74), იორგენსენი, ლანცი, ელმანდერი, სკოუბო (კრისტენსენი 65).*

ილია ნანობაშვილი

# CAUCASUS OPEN
## მეზობლებს საქართველო შეარიგებს?

პოლიტიკა პოლიტიკად და, საფეხბურთო საქართველოსაც თავისებური მედიატორის როლი აკისრია სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის.

მაგალითად, გუშინ სომხებმა, აზერბაიჯანელებმა და ქართველებმა სასტუმრო „მონოპოლში" ერთად აღნიშნეს უეფას პროგრამა „ოუფენ ფან ფუტბოლის" მორიგი სემინარის წარმატებით დასრულება და ერთმანეთს დითირამბებიც უძღვნეს. სემინარის დახურვას უეფაში სახალისო ფეხბურთის პროგრამის დირექტორი, დანიელი ანდერს ლევინსენიც ესწრებოდა, რომელიც ქართული სტუმართმოყვარეობით მოხიბლული იყო და მოშუღარი სომეხ-აზერბაიჯანელებიც კი ერთად აცეკვა.


ანდერს ლევინსენი

— დღესდღეობით „ოუფენ ფან ფუტბოლის" პროგრამაში ათი ქვეყანაა გაერთიანებული, მაგრამ დღეს-ხვალ მოლდოვა და ეთნოკონფლიქტებით დაზარალებული კიდევ ხუთი ქვეყანა შემოგვიერთდება. უეფას ეგიდით წლეულს საქართველოში სამი საფეხბურთო სკოლა გაიხსნება, სადაც ამიერკავკასიელი ბავშვები ისწავლიან და ვიმედოვნებ, დიდი ფეხბურთელები გაიზრდებიან. მაგალითად, სერბია-ჩერნოგორიაში ასეთი სკოლების ხუთი აღზრდილი უკვე ამ ქვეყნის ეროვნული გუნდის წევრია — თქვა ანდერს ლევინსენმა.

შეხვედრის დასასრულს კი „ოუფენ ფან ფუტბოლის" კოორდინატორმა ამიერკავკასიაში ვალერი ჩოლარიამ აღნიშნა, რომ დღეს თბილისის ნორვეგიელი და სერბი ინსტრუქტორები ეწვევიან და ქართველებთან უფრო მჭიდროდ ითანამშრომლებენ.

ლუკა თალაკვაძე

## ქართველები უცხოეთში

# დემე ვლადიკავკაზში ხმაურით დაბრუნდა



გიორგი დემეტრაძის (მარჯვნივ) ალანიურმა დებიუტმა რუსეთში დიდი გამოხმაურება ჰპოვა

*დებიუტიც ასეთი უნდა* — ვლადიკავკაზის გადაჭედილი სტადიონი ქართველმა თავდამსხმელმა ალაფრთოვანა — *გიორგი დემეტრაძემ* მოსკოვის „ტორპედოს" თერთმეტ წუთში თითქმის მოუთავა საქმე. დონეცკის „მეტალურგიდან" „ალანიაში" გადასულმა დემეტრაძემ პირველი ბურთი *ლადო ბურდულის* პასით შეაგდო და მეორეშიც ლომის წილი დაიდო, რადგან მცველმა სწორედ მასთან ორთაბრძოლისას ჩაჭრა ბურთი საკუთარ კარში. არადა, ზოგიერთმა რუსულმა სააგენტომ ეს გოლიც დემეტრაძეს ჩაუთვალა, თუმცა მატჩის ოქმში ასე არ დაფიქსირებულა. ასეა თუ ისე, „დემემ" თავისი მაინც გააკეთა და ოსებს ცოტათი რომ გამართლებოდათ, ნანატრ სამ ქულასაც აიღებდნენ — ტორპედოელმა ალექსანდრ პანოვმა 90-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში.

საინტერესოა, რომ ამ მატჩში არასპორტული საქციელისთვის 62-ე წუთზე გააძევეს *ვიტალი დარასელია*, ვინც სადღეისოდ ალანიელთა ლიდერად მიიჩნევა.

*მოსკოვის „ლოკომოტივმა" უმძიმეს ბრძოლაში 3:2 სძლია ცესკას* და საჩემპიონოდ მოზრდილი ნაბიჯიც წადგა. რკინიგზელებმა ბოლო წამზე ოლეგ პაშინინის თავურით აჯობეს არმიელებს. *მალხაზ ასათიანმა* ძირითადში ითამაშა, თუმცა ვერ ვიტყვით, ეს მისი საუკეთესო მატჩი იყო.

*„როსტოვმა" ვერაფერი დააკლო „სატურნს" და უგოლოდ გაეყარა.* დონისპირელთა თავკაცი ვალერი პეტრაკოვი *მიხეილ აშვეთიას* თამაშით კმაყოფილი დარჩა, დებიუტანტ *გოჩა ხოჯავაზე* კი თქვა, მისთვის პირველი მატჩი იყო და თავს შებოჭილად გრძნობდაო.

**კახა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | ცსკა 3:2 | 90 | | 17 | 1 | 1 |
| მათე ღვინიანიძე | ლოკომოტივი | შ | ცსკა 3:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| გიორგი ჭელიძე | ლოკომოტივი | შ | ცსკა 3:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| მიხეილ აშვეთია | როსტოვი | შ | სატურნი 0:0 | 90 | | 4 | 1 | 16 |
| გოჩა ხოჯავა | როსტოვი | შ | სატურნი 0:0 | 16 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 16 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | შ | ტორპედო 2:2 | 62 | გააძევეს | 15 | 1 | 14 |
| ლევან გვაზავა | ალანია | შ | ტორპედო 2:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 5 | 0 | 14 |
| ლადო ბურდული | ალანია | შ | ტორპედო 2:2 | 90 | საგოლე პასი | 11 | 0 | 14 |
| დავით კვირკველია | ალანია | შ | ტორპედო 2:2 | 32 | შეცვლაზე ითამაშა | 10 | 0 | 14 |
| ჯაბა კანკავა | ალანია | შ | ტორპედო 2:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 8 | 0 | 14 |
| გიორგი შაშიაშვილი | ალანია | შ | ტორპედო 2:2 | 0 | სათადარიგო | 6 | 0 | 14 |
| გიორგი დემეტრაძე | ალანია | შ | ტორპედო 2:2 | 90 | 1 გოლი, გააფრთხილეს | 1 | 1 | 14 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | შ | მოსკვა 1:1 | 90 | | 13 | 0 | 4 |
| | | | **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | |
| გიორგი ლომაია | ხიმკი | შ | ბრიანსკი 0:0 | 47 | შეცვლაზე ითამაშა | 11 | 0 | 6 |
| გოგიტა გოგუა | ხიმკი | შ | ბრიანსკი 0:0 | 0 | | 5 | 0 | 6 |
| რევაზ გოცირიძე | კამაზი | შ | პეტროტრესტი 2:1 | 0 | | 13 | 0 | 3 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | შ | სკა-ენერგია 0:0 | 78 | შეცვალეს | 19 | 1 | 8 |
| მამუკა ლომიძე | ჩკალოვეცი | შ | ლოკომოტივი 2:0 | 90 | | 11 | 0 | 14 |
| ლევან ბერიშვილი | მ. კუზბასი | შ | ამური 1:1 | 90 | 1 გოლი | 20 | 1 | 20 |
| პაატა ჯინჭარაძე | ბრიანსკი | ს | ხიმკი 0:0 | 90 | გააფრთხილეს | 23 | 2 | 18 |
| დავით ხმელიძე | ჩელიაბინსკი | ს | სოკოლი 1:1 | 0 | | 8 | 0 | 11 |
| | | | **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | ხარკოვი 3:6 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 15 |
| არჩილ ბაჯელიძე | მ. ზაპოროჟიე | შ | ხარკოვი 3:6 | 0 | | 0 | 0 | 15 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | შ | ტავრია 2:0 | 88 | შეცვალეს | 4 | 2 | 1 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | ს | შახტარი 0:1 | 90 | | 4 | 1 | 9 |
| გიორგი ციმაკურიძე | სტალი | შ | ვოლინი 2:2 | 90 | | 4 | 0 | 16 |
| | | | **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | პაშინგი 2:2 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 3 | 3 | 4 |
| | | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | |
| ლადო ახალაია | ციურიხი | ს | ბაზელი 1:2 | 19 | შეცვლაზე ითამაშა, გააფრთ. | 2 | 0 | 3 |
| | | | **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | ოლიმპი 1:0 | 0 | სათადარიგო | 13 | 0 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | ოლიმპი 1:0 | 86 | შეცვალეს | 13 | 0 | 2 |
| ზაალ ელიავა | სკონტო | ს | ოლიმპი 1:0 | 90 | | 15 | 0 | 2 |
| | | | **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | |
| გიორგი გოგიაშვილი | ვოსტოკი | შ | ბოლატი 3:0 | 90 | | 15 | 3 | 8 |
| ზურაბ არჩვაძე | ეკიბასტუზეცი | შ | ჟეტისუ 1:1 | 42 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 14 | 0 | 13 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*



# გოგიტა გოგუა ჩეჩნეთშია

## ტერეკთან კონტრაქტს ცოტაღა უკლია

**საქართველოს** ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი გოგიტა გოგუა რუსულ „ხიმკიში" ძალიან ჩაიკარგა, არადა, ამ კლუბის პრეზიდენტმა ანდრეი ჩერვიჩენკომ დიდის ამბით შეიძინა და მას „ქართველი გატუზოც" კი უწოდა. გოგუამ ამ სეზონში მხოლოდ ხუთჯერ ითამაშა „ხიმკიში" და ისიც შეცვლებზე, ანუ ჯამში 90 წუთიც კი არ ყოფილა მოედანზე. ბევრი ამას რუსეთის პირველ ლიგაში ლეგიონერების მკაცრ ლიმიტს აბრალებდა, მაგრამ, რაც უნდა იყოს, გოგიტასთვის ამ კლუბში გაჩერებას აზრი აღარ ჰქონდა.

...ჰოდა, გუშინ რუსულ ვებგვერდებზე გაჩნდა ინფორმაცია, რომ რამდენიმე დღეა, გოგუა გროზნოს „ტერეკში" ვარჯიშობს და მისი ტრანსფერის ამბავი უახლოეს დღეებში გადაწყდება. „ტერეკი" რა გუნდია, ალბათ იცით: ჩეჩნურმა კლუბმა შარშან დიდი უპირატესობით იჩემპიონა პირველ ლიგაში და რუსეთის თასიც მოიგო; ამჟამად კი პრემიერლიგაში ბოლოსწინა, მე-15 ადგილზეა და ცდილობს, გავარდნას თავი დააღწიოს.

გუშინვე გროზნოელებმა პორტუგალიური „ბოავიშტადან" ბრაზილიელი მცველი ედერი შეიძინეს. კლუბის გენერალური დირექტორი ლომ-ალი იბრაგიმოვი კიდევ აპირებს რამდენიმე ფეხბურთელთან კონტრაქტის გაფორმებას და ალბათ მათ შორის გოგუაც მოხვდება. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე გოგიტასთვის „ხიმკიდან" „ტერეკში" გადასვლა მომგებიანი ნაბიჯია.

**ილია ნანობაშვილი**

# ლეგიონურ-ამხანაგური

**სამი** ჩვენებური ლეგიონერის ამბავს მოგახსენებთ, რომელთა გუნდებმაც ამ უქმეებზე ამხანაგური მატჩები ითამაშეს.

„ვოლფსბურგში" პირველად ითამაშა ლევან ცქიტიშვილმა — ბუნდესლიგელებმა ჩეხურ „ბოლესლავთან" 2:3 წააგეს. ცქიტიშვილი სასტარტოში იყო და პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს — როგორც „ვოლფსბურგის" ვებგვერდი იუწყება, ცქიტიშვილმა პირველივე ორთაბრძოლაში თავის არეში ტრავმა მიიღო.

შოთა არველაძის „ალკმაარი" გერმანიაში ჩავიდა და ბუნდესლიგაში ალზევებულ „დუისბურგს" 1:3 დაეჩაგვრინა. პირველი გოლი ალკმაარელებმა გაიტანეს, რის შემდეგ სამი-ოთხი კიდევ უნდა შეეგდოთ — ერთი შანსი არველაძესაც გაუცუდდა, ვინც 90 წუთი დაჰყო მოედანზე.

ალექსანდრე იაშვილის „ფრაიბურგმა" ობერლიგის „ბალანგერს" 3:0 მოუგო — ჩვენებური 71-ე წუთზე შეცვალეს, მან როდა ანტარის გოლისას საგოლე პასით გამოიჩინა თავი, გუშინ კი ფრაიბურგელებმა 3:2 მოუგეს მეორებუნდესლიგელ „ფიურტს", იაშვილი ამჯერადაც საგოლე პასს დასჯერდა.

**ნიკა ჯორჯაძე**



ლევან ცქიტიშვილმა პირველი ტაიმი თავგატეხილმა ჩაამთავრა

# ფერგიუსონს ფული გაუმზადეს



ალექს ფერგიუსონი სასურველ ფეხბურთელებს ალბათ მალე შეიძენს

**ინგლისური** „მანჩესტერის" ერთ-ერთი მმართველის, დევიდ გილის თქმით, კლუბმა მისი ახალი მეპატრონის მალკოლმ გლეიზერის თაოსნობით, სერ ალექსს ფერგიუსონს ტრანსფერებისთვის საკმაოდ სოლიდური თანხა გამოუყო. „წითელი ეშმაკები" ცვლილებებსა და გაძლიერებას რომ საჭიროებენ, ამაში ალბათ გასულმა სეზონმაც დაარწმუნა ყველა.

დევიდ გილი: „ფული მზად არის და ალექსის გადაწყვეტილებებს ელოდება. ჩვენ მას ბოლომდე ვენდობით. თუ შემადგენლობა რომელიმე დიდი სახელისა და ფასის მქონე მოთამაშით გაძლიერდება, მაშინ უნდა ვიყიდოთ იგი. თუმცა კანდიდატებს უკეთ თავად ფერგიუსონი შეარჩევს. ასე რომ, შესაძლოა, სექტემბრამდე რამდენიმე ფეხბურთელი დავიმატოთ და ასევე არ გამოვრიცხავ, ვინმე გავასხვისოთ კიდეც".

დასამალი აღარ არის, რომ „მანჩესტერი", ისევე როგორ „ჩელსი", მიკაელ ესიენით არის დაინტერესებული და „ლიონთან" მოლაპარაკებას ცდილობს. ფერგიუსონს ესიენი თურმე როი კინის შემცვლელად ესახება, თუმც „ოლდ ტრეფორდის" ბინადრები „ჩელსის" ალბათ ვერ აჯობებენ, გაუჭირდებათ.

გარდა ამისა, ამბობენ, ფერგიუსონის სიაში მაიკლ ოუენიც არისო. სავარაუდოდ, სამშობლოში დაბრუნებაზე უარს არც თავად ინგლისელი ფორვარდი იტყვის. მოგეხსენებათ, „მანჩესტერს" შეტევაში გარკვეული პრობლემები შექმნა და კლუბის უფროსობა პირველ რიგში თავდასხმის გაძლიერებას აპირებს.

**გიორგი ქაქაბაძე**

# სითის კორადი უნდა, კორადის — აპენინები

**„მანჩესტერ სითის"** იტალიელი ფორვარდის ბერნარდო კორადის თხოვება უნდა. ეს გუნდის ექსცენტრიკულ თავკაცის, სტიუარტ პირსის ინიციატივაა. თუმც თავად „ვალენსიას" თავდამსხმელს კვლავ სამშობლოში დაბრუნება სწადია.

„სიტი" მართლაც დაინტერესებულია და მოლაპარაკებას ცდილობს, მაგრამ ბერნარდოს გული კვლავ აპენინებისკენ მიუწევს. რა იქნება საბოლოოდ, ვერ გეტყვით" — აღნიშნა კორადის აგენტმა მორენო როგიმ.

წარუმატებელი ესპანური სეზონის შემდეგ, „ლაციოს" ყოველი თავდამსხმელი რომ „მესტალიას" დატოვებს, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, თუმც მისი მსურველები ჯერჯერობით მაინცდამაინც არ აქტიურობენ. ისე კი კორადის სახელი სერია A-ს ბევრ კლუბს დაუკავშირეს.



ბერნარდო კორადი

ბოლოს გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა, კორადიმ „პარმაში" ამოჰყოს თავი — „ენიო ტარდინის" ბინადრებს ალბერტო ჯილარდინოს შემცვლელი ჯერაც არ უპოვიათ, თუმც გადაწყვეტილი აქვთ, ორი ფორვარდი დაიმატონ და ერთ-ერთი ეგებ კორადიც იყოს. ლაპარაკია „სამპდორიაზეც", გენუელებიც თავდასხმის გაძლიერებას გეგმავენ.

მორენო როგი: „ამ წუთისთვის ბერნარდო „ვალენსიასთან" ერთად ვარჯიშს აგრძელებს, მაგრამ გამოსავალს ალბათ მალე ვიპოვით. „სამპდორიაზე" ვერაფერს მოგახსენებთ, ხოლო „პარმას" ვარიანტს მართლაც განვიხილავთ."

**გიორგი ქაქაბაძე**

# შალკე ბაროშს შეეშვა



მილან ბაროში

**გელზენკირხენის** „შალკე" მილან ბაროშის ფასს ვერ შესწვდა. ბუნდესლიგელებს ჯერ ერთი წლით სურდათ ფეხბურთელის წაყვანა, რაზეც უარი მიიღეს, მერე „ლივერპულს" 9 მილიონი ევრო შესთავაზეს და ამ საქმიდანაც არაფერი გამოვიდა. პრემიერლიგელებს თანხა ეცოტავათ.

„ტრანსფერი შეუძლებელია — განაცხადა „შალკეს" პრეზიდენტმა რუდი ასაუერმა — „ლივერპული" დიდძალ ფულს ითხოვს, რომლის გადახდასაც იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუ ზედიზედ სამი სეზონი ჩემპიონთა ლიგაში მოვხვდებით, ამის გარანტია კი არ არსებობს. ახლა შევეცდებით, სოტირის კირიაკოსი შევიძინოთ და თუ არ გამოვა, მოვიცდით."

კირიაკოსი შარშან „პანათინაიკოსმა" გლაზგოს „რეინჯერსს" ერთი სეზონით დაუთმო. ფეხბურთელმა ახლა შოტლანდიურ ლიგაში დარჩენა იუარა და კვლავ ათენში დაბრუნდა.

**ვაჟა ხუციშვილი**



სებასტიან ვიერა სავარაუდოდ, კარიერას ბრიტანეთში გააგრძელებს

# არსენალმა ვიერა იპოვა

**ლონდონის** „არსენალმა" შესაძლოა, ურუგვაული „ნასიონალის" მეკარე სებასტიან ვიერა შეიძინოს. 22 წლის ფეხბურთელმა გასულ კოპა ამერიკაზე ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა და ეროვნული ნაკრები მრავალჯერ იხსნა აშკარა გოლისგან.

„მეთოფეები" კი უკვე საკმაო ხანია, სტაბილურ კარის დარაჯს ეძებენ. მართალია, იენს ლემანი ბოლოს „მანჩესტერთან", ინგლისის ასოციაციის თასის ფინალში კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ იგი რომ გუნდს ბოლომდე ვერ მოერგო, იცით. ასევე დამაჯერებლად ვერ ჩავთვლით ლონდონელთა ესპანელ გოლკიპერ მანუელ ალმუნიას თამაშსაც.

„ვიერას მართლაც ვაკვირდებით და მის შეძენაზე ვფიქრობთ, თუმცა შეთანხმების მიღწევამდე ჯერ ბევრი გვიკლია, რაც შეეხება სხვა ტრანსფერებს, თუ გუნდისთვის საჭირო მოთამაშეს ვიპოვით, მას აუცილებლად ვიყიდით, ამ ეტაპზე კი ძალიან კმაყოფილი ვარ ჩვენი შემადგენლობით. საკმაოდ ბევრი პერსპექტიული მოთამაშე გვყავს" — აღნიშნა „არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა.

„არსენალის" გარდა, ვიერას დიდი ხანია, იტალიური „რომაც" აკვირდება, თუმც სატრანსფერო ემბარგოს გამო ამჟამად დედაქალაქელები მეთოფეებს ხელს ვერ შეუშლიან.

**გიორგი ქაქაბაძე**

# სამი ნეკნის ამბავი

**მიონხენგლადბახის** „ბორუსიას" სეზონის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ბელგიელი ფორვარდი უესლი სონკი დაუშავდა — ჰოლანდიურ „პსვ ეინდჰოვენთან" ამხანაგურ მატჩში სონკს სამი ნეკნი ჩაემტვრა და ექვსკვირიანი მკურნალობა გამოუწერეს.

შარშან „აიაქსიდან" ბუნდესლიგაში გადასულ ბელგიელს თავიდანვე ტრავმები სტანჯავდა. მან პირველ წრეში მხოლოდ შვიდ მატჩში ითამაშა. მას შემდეგაც, რაც დიკ ადვოკაატი ჰორსტ კოეპელით შეცვალეს, სონკს ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრების შანსი გაუჩნდა და ახალი მწვრთნელის ჯილა გახდა, მაგრამ ახლა ყველაფრის ახლიდან დაწყება მოუწევს.

კოეპელს ახლა ორი ფორვარდი შერჩა — ოლივერ ნოივილი და ვაცლავ სვერკოში. მესამე ჯოვანი ელბერა, რომელსაც მთელი გასული სეზონი გაუცდა. ბრაზილიელი მეგოლე ახლახა მომჯობინდა და ვარჯიში დაიწყო.

„ბორუსიამ" უარყო ცნობა კლუბიდან ჩეხი ლეგიონერების წასვლის თაობაზე — ივო ულიხი და მარეკ ჰაინცი გუნდში რჩებიან. დიკ ადვოკაატისგან მოძულებულ ჰაინცს კოეპელის ხელქვეით შანსი გაუჩნდა და ძირითად შემადგენლობაში დაბრუნების იმედი აქვს.



უესლი სონკი

ბუნდესლიგის პირველ ტურში მიონხენგლადბახელები მიუნხენის „ბაიერნს" ახალ სტადიონზე, „ალიანს არენაზე" ეწვევიან.

**ვაჟა ხუციშვილი**



მაარტენ შტეკელენბურგი

# ბოკამ აიაქსი დააშავა

**ამსტერდამის** „აიაქსის“ მეკარე მაარტენ შტეკელენბურგი ორი თვე ვეღარ ითამაშებს. „ბოკა ხუნიორსთან“ ამხანაგური მატჩისას (0:1) იგი თავის თანაგუნდელ ჰატემ ტრაბელსის შეჯახა და საკმაოდ სერიოზულად დაშავდა. მსუბუქი ტრავმა მიიღო ტრაბელსიმაც, რომელიც დაახლოებით ერთი კვირა დაისვენებს.

ცხადია, ამ ყველაფერმა ჰოლანდიური გრანდის უფროსობა ძალიან დაამწუხრა. ამსტერდამელებს პარასკევს, ქვეყნის სუპერთასისთვის თავიანთ ერთ-ერთ ყველაზე პრინციპულ მეტოქესთან, „პსვ ეინდჰოვენთან“ მოუწევთ ჭიდილი, მომავალი კვირის ბოლოს კი ეროვნული ჩემპიონატიც დაიწყება.

პარალელურად, ამსტერდამელთა ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ გუნდი ფრანჩესკო კოკოს არ იყიდის. 28 წლის იტალიელი სანახეროდ „აიაქსის“ ფეხბურთელად ითვლებოდა, მაგრამ ჰოლანდიელები მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით არიან უკმაყოფილო.

„კოკომ, ისევე როგორც რამდენიმე სხვა ცნობილმა ფეხბურთელმა, ჩვენთან მოლაპარაკება წამოიწყო. ფრანჩესკომ ბოლო ორი წლის მანძილზე რამდენიმე ტრავმა გადაიტანა და მისი დამატება ძალიან სარისკოდ მიგვაჩნია“ — განაცხადა „აიაქსის“ ტექნიკურმა დირექტორმა მარტინ ვან გეელმა.

შეგახსენებთ, რომ „ინტერის“ მცველს ერთ ხანს „ევერტონიც“ უტრიალებდა, მაგრამ ალბათ აღარც ამ საქმიდან გამოვა რამე. ამჟამად კოკოს სახელს „ბოლტონსა“ და „ოლიმპიაკოსს“ უკავშირებენ.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ტოტი ენას არ აჩერებს

## რომას ახალი სამუელი, ოღონდ კუფური

**ფაქტობრივად**, დღე აღარ გადის ისე, რომ „რომას“ კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ პრესისთვის კომენტარი არ გააკეთოს და სხვადასხვა საკითხზე თავისი აზრი არ გამოთქვას. ამჯერადაც მის მორიგ განცხადებებს გთავაზობთ. დედაქალაქელთა ლიდერი ისევ მომავალ სეზონს, სამუელ კუფურსა და ანტონიო კასანოს შეეხო.

„კუფური ჩვენთვის ახალი ვალტერ სამუელია. დარწმუნებული ვარ, იგი გუნდის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ იქცევა. კუფური ისეთ ფეხბურთელთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც თამაშში გარდატეხის შეტანა შეუძლიათ“ — აღნიშნა ტოტიმ. თუმცა შეძლებს თუ არა კუფური „რომას“ რიგებში თამაშს, ჯერ კიდევ უცნობია. მისი საკითხი, როდრიგო ტადეისა და შაბანი ნონდას ბედის დარად, საბოლოოდ უახლოეს მომავალში გადაწყდება. „გლადიატორთა“ ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ეს ამბავი კლუბისთვის სასიკეთოდ დასრულდება.

ამის შემდეგ ტოტი კონკრეტულად ვალტერ სამუელზე გადაერთო: „მას „რეალში“ წარუმატებელი სეზონი ჰქონდა და ალბათ აჯობებს, თუ ისევ სერია A-ს დაუბრუნდება. მე მის ადგილზე ბევრს არ ვიფიქრებდ და „ინტერის“ წინადადებას დავთანხმდებოდი. ხოლო „რომას“ მმართველი რომ ვყოფილიყავი, სამუელს საერთოდ არ გავყიდიდი“.

უკვე მრავალჯერ გაუწყეთ, რომ „გლადიატორთა“ მე-10 ნომერი თანაგუნდელებისა და ქომაგების გამხნევებას ცდილობს. იგი შანსს არ უშვებს ხელიდან, რათა აღნიშნოს, სკუდეტოსთვის ჩვენც ვიბრძოლებთ და მე ამისთვის მაქსიმუმს გავიღებო.

ფრანჩესკო ტოტი: „ინტერი“ ამ ზაფხულს ყველაზე მეტად გადახალისდა და, ჩვენდა სამწუხაროდ, სწორედ იმ ფეხბურთელებით, რომლებსაც დიდი სიამოვნებით ვიხილავდი „რომაში“. რაც შეეხება „მილანსა“ და „იუვენტუსს“, ისინი ყოველთვის ფავორიტები იქნებიან. თუმცა მე კვლავ დარწმუნებული ვარ, რომ ლიდერთა მარაქაში გარევა და ტიტულისთვის ბრძოლა ჩვენც შეგვიძლია“.



სამუელ კუფური

ბოლოს კი მან ანტონიო კასანოზე ისაუბრა. ტოტის აზრით, ახალგაზრდა ფეხბურთელს ჯერ კიდევ ბევრი აქვს სასწავლი. იგი შეეხო ლუჩანო სპალეტის გადაწყვეტილებასაც. მოგეხსენებათ, „რომას“ ახალმა თავკაცმა ცოტა ხნის წინ კასანოს ვიცე-კაპიტნობა ჩამოართვა.

„მწვრთნელის გადაწყვეტილებას პატივისცემით ვეკიდები და იმედია, ანტონიოც ასე მოიქცევა. სპალეტის თავისი შეხედულებები და წესები აქვს, რომლებიც ჩვენ უნდა მივიღოთ. მე კასანოს ყოველთვის ვაძლევ რჩევებს და ვცდილობ, დავეხმარო, მაგრამ მხოლოდ პირისპირ საუბრისას და არა საჯაროდ“ — დასძინა ტოტიმ.

**გიორგი ქაქაბაძე**

# მილანური ტერორი ინგლისს

## ინტერი მზად არის და ელოდება



რობერტო მანჩინი

**მილანის** „ინტერმა“ ინგლისური ტურნე დაასრულა და უკვე სამშობლოშიც დაბრუნდა. ახლა „ნეროაძურის“ მთელი ყურადღება ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზეა გადართული, სადაც დონეცკის „შახტართან“ მოუწევს ჭიდილი. ნისლიან ალბიონზე იტალიელთა სტუმრობა კი ძალიან წარმატებული გამოდგა. რობერტო მანჩინის შეგირდებმა ოთხივე მატჩი მოიგეს, მეტოქეთა კარი 8-ჯერ აიღეს და მხოლოდ ერთი ბურთი გაუშვეს.

„ლესტერის“, „კრისტალ პალასისა“ და „ნორვიჩის“ ძლევის შემდეგ, „ინტერმა“ „პორტსმუთიც“ დაჯაბნა 2:0. „შავ-ლურჯი“ მაისურით თავისი პირველი გოლი გაიტანა დავიდ პიზარომ. ჩილელმა დაუღალავი ობაფემი მარტინსის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი შეასრულა ზუსტად, ხოლო მეორე ბურთი დეიან სტანკოვიჩმა შეაგდო.

თავისი გუნდის სათამაშო ფორმით კმაყოფილია რობერტო მანჩინი. იგივე აზრზეა „ნეროაძურის“ ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი ჟოზე ზე მარიაც. ბრაზილიელ მცველს „ინტერის“ სამომავლო პერსპექტივები ხიბლავს.

„წინა წელთან შედარებით ახლა გაცილებით ძლიერები ვართ. რამდენიმე ახალი, მაღალი კლასის მოთამაშე დაგვემატა და ერთმანეთს ადვილად გავუგეთ. ეს ინგლისური ტურნეს დროსაც გამოჩნდა, სადაც მშვენიერი ფეხბურთი ვითამაშეთ. ერთი კვირის მანძილზე ოთხი მატჩი გავმართეთ და ყველა მოვიგეთ. ახლა ცოტა დასვენება და „შახტართან“ შეხვედრისთვის მომზადება გვჭირდება. ამისთვის 10 დღეზე ნაკლები გვრჩება. ვიცი, წინ რთული ბრძოლა გველის, მაგრამ ჩვენ მზად ვართ“ — განაცხადა ზე მარიამ.

პარალელურად კი მილანელები წუთი წუთზე ელოდებიან ვალტერ სამუელთან, ასევე ლუიშ ფიგუსთან კონტრაქტის ოფიციალურად გაფორმებას. „ინტერი“ ყველანაირად შეეცდება, ეს ტრანსფერები საბოლოოდ 4 აგვისტომდე გაჩარხოს, რათა ამ ფეხბურთელებს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის უფლება მიეცეთ.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ჯენოა ხავსს ეჭიდება



დიეგო მილიტო

**იტალიური** „ჯენოა“ და მისი არგენტინელი ფორვარდი დიეგო მილიტო ბოლო დროს აპენინური პრესის ყურადღების ცენტრში არიან. მოგეხსენებათ, გენუელები მატჩის ჩაწყობაში ამხილეს და სერია C1-ში დააქვეითეს, თუმც კლუბმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა და საბოლოო პასუხს 12 აგვისტომდე მიიღებს.

ასეა თუ ისე, „ჯენოას“ გარშემო სერიოზული აურზაურია ატეხილი. ცხადია, მის წამყვან მოთამაშეებს სერია C1-ში თამაში არ სურთ. მათგან ყველაზე გამორჩეული კი ზემოხსენებული მილიტოა, რომელიც გასულ სეზონში გუნდს 33 გოლით შეეწია. 26 წლის ფორვარდს თვალი უკვე დაადგეს „იუვენტუსმა“ და ინტერმა“. ინტერესს იჩენს ესპანური „სარაგოსაც“, სადაც დიეგოს ძმა გაბრიელ მილიტო თამაშობს.

დიეგო მილიტო: „კლუბში ნამდვილი ქაოსია. ყველანი საბოლოო განაჩენს ველოდებით, რა თქმა უნდა, თუ „ჯენოა“ მართლაც სერია C1-ში აღმოჩნდება, მე გუნდს გამოვიცვლი. ვიცი, რომ „ინტერი“ და „იუვენტუსი“ მაკვირდებიან. ასევე ძალიან მესიამოვნა „სარაგოსას“ ინტერესი. ჩემს ძმასთან ერთად თამაში ჩინებული იქნებოდა. გადაწყვეტილებას ალბათ რამდენიმე დღეში მივიღებ“.

სავარაუდოდ, გენუელებს დატოვებს კრისტიან აბიატიც. კლუბმა იგი „მილანისგან“ ერთი წლით ითხოვრა, მაგრამ გამოცდილ გოლკიპერს ქვედა ლიგაში თამაში არ სურს. მას უნდა თავი, რაც შეიძლება უკეთ წარმოაჩინოს და 2006 წლის მუნდიალზე მოხვდეს.

„პალერმოსა“ და „ლივერპულის“ სახით აბიატის უკვე მსურველებიც გამოუჩნდნენ. განსაკუთრებით სიცილიელები აქტიურობენ, რომლებიც მთელი ზაფხული გამოცდილ კარის დარაჯს ეძებენ.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ტოგოელებს გვჩაგრავენ

## ემანუელის ბოდიში

**„მონაკოს“** ფორვარდმა ემანუელ ადებაიორმა „ნანსისთან“ პირველი ტურის მატჩის წინ თავისი კლუბი რასიზმში დაადანაშაულა.

„ძირითად შემადგენლობაში იმიტომ არ მათამაშებენ, რომ ტოგოელი ვარ და არა ბრაზილიელი“ — დაიჩივლა ადებაიორმა, მაგრამ გუშინ მოიბოდიშა: ბოდიშით საქმეს ალბათ ვეღარ უშველის, რადგან „მონაკო“ მის გაყიდვას ცდილობს და ლუი საას შეძენა სურს.

„ადებაიორმა“ შეცდომა აღიარა — განაცხადა დეშანის თანაშემწე ჟან პეტიმ — დირექტორატის წევრებთან ისაუბრა და პრობლემა მოგვარდა“.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ მაიკლ ოუენს თუ გადაიბირებს, იქ ლუი საას ადგილი აღარ დარჩება და დეშანს სწორედ ამის ეიმედება. საას „მონაკოში“ ჩაიყვანს. ემანუელ



ემანუელ ადებაიორი (მარცხნივ)

ადებაიორით „სევილია და პსჟ იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ საქმე ადგილიდან არ დაძრულა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ლაციო ველოდრომის მოლოდინში

**ვეტერანი** იტალიელი მეკარე მატეო სერენი რომის „ლაციოში“ რჩება. იგი გასულ სეზონში ძირითად შემადგენლობაში ადგილისთვის ანჯელო პერუცის ეპაექრებოდა და თითქოს ერთ-ერთ მათგანს „სტადიო ოლიმპიკო“ უნდა დაეტოვებინა, მაგრამ ბოლო მომენტში ყველაფერი შეიცვალა.

„ძალიან მიხარია, რომ გუნდში ვრჩები. შევეცდები, თავი ბევრად უკეთ წარმოვაჩინო. დანარჩენს კი ჩვენი ახალი მწვრთნელი დელიო როსი გადაწყვეტს. მისი მუშაობით კმაყოფილი ვარ. იგი ბევრს აკეთებს და ცოტას ლაპარაკობს“ — აღნიშნა „იფსვიჩის“ ყოფილმა კარის დარაჯმა.

ამჟამად „ლაციის“ მთელი ყურადღება ინტერტოტოს თასისკენაა მიმართული, სადაც რომაელებს „მარსელთან“ საშინაო ფრის (1:1) შემდეგ, „სტად ველოდრომზე“ რთული საპასუხო მატჩი ელით. „ბიანკოჩელესტემ“ გენერალური რეპეტიცია უკვე გაიარა და საკმაოდ სუსტი მეტოქეები ადვილად დაჯაბნა. დედაქალაქელებმა „მაპანეზესა“ და „კატილონს“ შესაბამისად, 11:0 და 7:0 მოუგეს. საერთო ჯამში ამ 18 გოლიდან ექვს-ექვსი გუნდის ახალ ფორვარდზე, იგლ. ტარეზე და გორან პანდევზე მოდის.



მატეო სერენიმ „ლაციოდან“ წასვლა გადაიფიქრა

„წინასასეზონო პერიოდში საკმაოდ ბევრი ამხანაგური მატჩი გავმართეთ და ცოტა დაღლილები ვართ, თუმცა მჯერა, ოთხშაბათს სათანადო ფორმაში ვიქნებით და საფრანგეთში სასურველ შედეგს მივაღწევთ“ — დასძინა სერენიმ.

კომენტარი გააკეთა „ლაციოს“ ახალწვეულმა კალონ ბეჰრამიმაც. შეგახსენებთ, რომ პერსპექტიული შვეიცარიელი რომაელებმა „ვერონასგან“ რამდენიმე დღის წინ დაემატეს.

„მოხარული ვარ, რომ „ლაციოსთან“ ...რი საბოლოოდ შევძელი ... გადმოსვლა ძალიან მინდოდა, რომლგანაც გუნდს დიდი პოტენციალი აქვს, თუმცა ეს ადვილი არ ყოფილა. მე „ვერონასა“ და „იუვენტუსის“ საკუთრება ერთდროულად ვიყავი, მაგრამ, საბედნიეროდ, ორივე კლუბი გაგებით მოეკიდა ვითარებას და ყველაფერი კარგად დასრულდა“ — განაცხადა ბეჰრამიმ.

არც ისე დიდი ხნის წინ „ლაციომ“ საბოლოოდ თქვა უარი თავარში, „სამპდორიასგან“ ნათხოვარი ფაბიო ბაცანის კონტრაქტის გამოსყიდვაზე და მასთან მუშაობის გაგრძელებაზე. შესაბამისად, ფორვარდი გენუელებს დაუბრუნდა და უკვე ტრავმის მიღებაც მოასწრო.

„სამპდორია“ ამხანაგურად გაეჯიბრა „ვერონას“ და 2:0 დამარცხდა. ბაცანი სწორედ ამ შეხვედრაში დაშავდა. მან მარჯვენა მუხლი დააზიანა და ოპერაცია სჭირდება, რომელსაც კვირის ბოლოს გაუკეთებენ. გენუელთა ექიმების თქმით, იგი დაახლოებით ორი თვე ვერ ითამაშებს.

**გიორგი კაკაბაძე**

# პანდიანი ბირმინგემს საბოლოოდ შეეკედლა

**როგორც იქნა,** დასრულდა ურუგვაელი ვალტერ პანდიანის ლაკორუნიული ეპოქა.

„მე იმ გუნდში მივდივარ, რომელიც ადრეც ვოცნებობდი და ვტოვებ „დეპორტივოს“, სადაც არასდროს არ დავბრუნდები“ — განუცხადა ოკეანისგაღმელმა ფეხბურთელმა გაზეთ „მარკას“.

ვალტერ პანდიანიმ გუშინ „ბირმინგემთან“ სამწლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი, ხოლო „დეპორი“ მის სანაცვლოდ ინგლისელებისგან 4,5 მილიონ ევროს მიიღებს.

„პანდიანის ტრანსფერი „ბირმინგემის“ ისტორიაში ყველაზე გაჭიანურებულია“ — უთხრა ალბიონური კლუბის მწვრთნელმა სტივ ბრიუსმა იქაურ მედიას. მართლაც, „დეპორტივოს“ ახალი მწვრთნელის, ხოაკინ კაპაროსის მიერ ათვალწუნებული პანდიანის წასვლა-დარჩენის ამბავს დაინტერესებულმა მხარეებმა თავი შვიდი თვის მანძილზე იმტვრიეს.

„დეპორტივოს“ პრეზიდენტი აუგუსტო სესარ ლენდოირო თავიდან პანდიანის სანაცვლოდ ოთხმილიონნახევარზე გაცილებით მეტს ითხოვდა. თუმცა შემდეგ მოლბა და ინგლისელებს ზემოთ ნახსენებ თანხაზე დაჰყაბულდა. ესპანეთში ამბობენ, რომ „დეპორმა“ მომგებიანი ტრანსფერი გაჩარხა, რადგანაც პანდიანიში აღებული ფულით კაპაროსის სასურველ მოიერიშეს იყიდან, რომლის ვინაობასაც პირინეული პრესა ჯერჯერობით არ ასახელებს.



ვალტერ პანდიანი (მარჯვნივ)

ბოლოს ერთსაც გეტყვით: გალისიელებთან შეთანხმების თანახმად, „ბირმინგემმა“ თუ უახლოეს სამი წლის მანძილზე პრემიერლიგაში და ევროპაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, „დეპორტივოს“ დამატებითი თანხა უნდა გადაუხადოს...

**ლადო ხომერიკი**

# პალერმომ ბარძალი გაიგრძელა

**„პალერმომ“** საბოლოოდ დაუსვა წერტილი ანდრეა ბარძალის გარშემო ატეხილ მითქმა-მოთქმას და მასთან კონტრაქტი 2010 წლამდე გაახანგრძლივა. მოგეხსენებათ, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ბარძალი ამ ზაფხულს რომელიმე გრანდში გადავაო. განსაკუთრებით ტურინის „იუვენტუსს“ ახსენებდნენ, თუმც სიცილიური კლუბი ყოველთვის უარყოფდა 23 წლის მცველის გასხვისების შესაძლებლობას და წასვლის სურვილი არც თავად ანდრეას გამოუთქვამს.

„ამ წუთისთვის მხოლოდ „პალერმოზე“ და ეროვნულ ნაკრებზე ვფიქრობ. კლუბმა ახალი ხანგრძლივი კონტრაქტი გამიფორმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლომდე მენდობიან. ეს კი ძალიან სასიამოვნო და დასაფასებელია. ახლა ჩემი ვალია, კარგი თამაშით გადავუხადო



ანდრეა ბარძალი

სამაგიერო“ — განმარტა ბარძალიმ.

იგი „რენცო ბარბერაზე“ გასულ სეზონში „კიევოდან“ გადაბარგდა და სიცილიელთა რიგებში პირველსავე სეზონში გაიბრწყინა. იტალიის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მცველი უკვე ეროვნულ ნაკრებშიც სისტემატურად ხვდება და გრანდების ყურადღების ცენტრშიც მოექცა. თუმცა ბარძალი „პალერმოში“ თავს მშვენივრად გრძნობს და წასვლაზე ჯერ საერთოდ არ ფიქრობს. მისი აზრით, კლუბის მთავარი ამოცანა ევროსარბიელზე წარმატებით გამოსვლაა.

„ჩვენი მთავარი მიზანი ახლა უეფას თასზე თავის გამოჩენაა. ასეთ მნიშვნელოვან ტურნირში თამაში კი კლუბისთვის დიდი პატივია და ძალიან მნიშვნელოვანია. ამან შესაძლოა, მომავალ წარმატებებს ჩაუყაროს საფუძველი“ — დასძინა ბარძალიმ.

**გიორგი კაკაბაძე**

# რა ეტაკა ნაკატას?

## პრანდელის ძველი ჰიდეტოში სურს

**ფლორენციის** „ფიორენტინას“ თავკაც ჩეზარე პრანდელის იმედი აქვს, რომ ჰიდეტოში ნაკატა მომავალ სეზონში ძველებურად ათამაშდება და გუნდის ერთ-ერთ ლიდერად იქცევა. შეგახსენებთ, რომ 1998 წელს „პერუჯაში“ ყოფნისას ვარსკვლავად ქცეული იაპონელი ბოლო ორი წელია, ჯერ „პარმასა“ და შემდეგ „იების“ რიგებში არც ისე დამაჯერებლად გამოიყურება.

„იგი ჩვენ ცოტა მოგვიანებით შემოგვიერთდა, რადგანაც სანაკრებო შეკრებაზე იყო. ახლა ვცდილობთ, უფრო დიდი დატვირთვით ვავარჯიშოთ. მან ფიზიკური კონდიციები უნდა გაიუმჯობესოს. ჰიდეტოში თავს არ ზოგავს და თუ ასე გაგრძელდა, ვფიქრობ, იგი მომავალ სეზონში გუნდის ერთ-ერთ საკვანძო მოთამაშედ იქცევა“ — აღნიშნა პრანდელიმ.

შეგახსენებთ, რომ „იები“ აზიურ ტურნეში იმყოფებოდნენ, რომელსაც მათი თავკაცი უკვე საკმაოდ დადებითად აფასებს. ფლორენციელებმა მარტინ იორგენსენის ერთადერთი გოლით სძლიეს „ჰიროშიმას“, ხოლო წუხელ გვიან „ტოკიო ვერდის“ გაეჯიბრნენ და 1:2 წააგეს.

„ჰიროშიმასთან“ მატჩში ტრავმა მიიღო ჯუზეპე პანკარომ, თუმცა გუნდის ექიმების თქმით, სერიოზული არაფერია და „მილანის“ ყოფილი მცველი მწყობრში მალე ჩადგება.

აქვე გთავაზობთ, მომავალი სეზონისთვის „არტემიო ფრანკის“ ბინადართა ამჟამინდელ განაცხადს:



ჰიდეტოში ნაკატა

*1. ფრეი, 3. დაინელი, 4. დონადელი, 5 გამბერინი, 6. ლ. ელვერა, 7 ნაკატა, 8. ბოჟინოვი, 9. რიგანო, 10. ფიორე, 11. მაჯო, 12. კიასი, 13. როკატი, 15. ვრიზასი. 19 ნავინი, 20. იორგენსენი, 21. უიფალუში, 22. ბაჩისი, 23. პასკუალი, 25. გიგუ, 26. პანკარო, 29. ბაციონი, 30. ტონი, 32. ბროკი, 55. ვიალი, 76 ფანტინი.*

**გიორგი კაკაბაძე**

# რობერტო კარლოსის ფორმულა

## რობინიო რონალდოზე მეტია, ალონსო სენას ტოლია



AFP ბუდაპეშტიდან

რობერტო კარლოსი და ფორმულა 1-ის მამას ბერნი ეკლსტოუნს შვილივით გადაეხვია

აზიური ტურნედან მადრიდს დაბრუნებულმა „რეალმა" სამდღიანი შვებულება გამოაცხადა. „სამეფო კლუბის" ბრაზილიელმა მცველმა რობერტო კარლოსმა უქმეები ბუდაპეშტში გაატარა, სადაც ფორმულა 1-ის უნგრეთის დიდი პრიზის რბოლას დაესწრო. მილეთში გარეულ „ელ გალაქტიკოსთან" გასაუბრების შანსი, ცხადია, ჟურნალისტებმა ხელიდან არ გაუშვეს და ენაწყლიანმა ბრაზილიელმაც ბოლოხანს „რეალში" მომხდარ ამბებზე დაუზარებლად ილაპარაკა

**— ახლახან „რეალმა" თქვენი თვისტომები, რობინიო და ჟულიო ბაპტისტა შეიძინა. დამეთანხმებით, მართლაც მნიშვნელოვანი ტრანსფერებია...**

— მართალი გითხრათ, ვიცოდი, რომ კლუბის თავკაცები გუნდის გაძლიერებას ეშურებოდნენ და საუკეთესო მოთამაშეთა ყიდვას აპირებდნენ. „რეალს" ჭირდება ისეთი ფეხბურთელები, რომლებთაც პრესტიჟული ჯილდოების მოპოვების ამბიცია აქვთ. რობინიო და ჟულიო ბაპტისტა სწორედ ასეთი ფეხბურთელები არიან.

**— ამბობენ, რომ რობინიო თქვენი პროტეჟეა...**

— თამამად ვიტყვი, რომ რობინიო საუკეთესოთა შორის საუკეთესოა. ის ელეგანტური და მიზანსწრაფულია, გოლის უტყუარი ალღოთია დაჯილდოებული და მჯერა, რომ „რეალში" დიდ გამარჯვებებს მიაღწევს. ცხადია, ფლორენტინო პერესს მეც ვურჩიე მისი შეძენა.

**— იმასაც ამბობენ, რომ შესაძლოა, რობინიომ დენილსონის ბედი გაიზიაროს. დენილსონსაც ხომ ბრწყინვალე მომავალს უქადნენ, მაგრამ მან ესპანეთში თავი ვერაფრით გამოიჩინა...**

— ვერ დაგეთანხმებით. რობინიოს დენილსონის შემთხვევასთან საერთო არაფერი აქვს. ვიმეორებ, რობი უნიჭიერესი მეგოლეა და მერე კიდევ, ის „რეალში" ითამაშებს და არა — „ბეტისში". მეტსაც გეტყვით, ჩემი აზრით, ის ახლა საუკეთესო ბრაზილიელი ფეხბურთელია და მალე რონალდოსა და რონალდინიოსაც დაჩრდილავს.

**— ხომ არ აჭარბებთ?**

— არამც და არამც! რობინიო ექსტრაორდინალური მოთამაშეა და თან მისი სათამაშო სტილი „რეალისას" ესადაგება.

**— ლუშემბურგო იდეალური მწვრთნელია?**

— რა თქმა უნდა. ის ბრწყინვალედ ერკვევა საფეხბურთო ნიუანსებში. გარდა ამისა, ვანდერლეის მოთამაშეებთან ურთიერთობაშიც არაფერი ეშლება და ჩვენგან მაქსიმუმს მოითხოვს. დარწმუნებული ვარ, ახალ სეზონში ის სრულად წარმოაჩენს თავის შესაძლებლობებს და მთელ ევროპას დაუმტკიცებს, რომ შეუდარებელი ტაქტიკოსია.

**— ურუგვაელ ახალწვეულებზე, კარლოს დიოგოსა და პაბლო გარსიაზეც გვითხარით...**

— დიოგო ძალიან ტექნიკური მოთამაშეა, პაბლო გარსიას კი ადაპტაციის პრობლემები აქვს. ვფიქრობ, ორივე საჭირო ფეხბურთელია და ისინი „რეალს" დიდ სარგებელს მოუტანენ.

**— წარმოგიდგენიათ რაული სათადარიგოა სკამზე?**

— მართალია, საახალსეზონოდ კლუბმა ბევრი ახალი და კარგი ფეხბურთელი შეიძინა, მაგრამ რაულის გარეშე „რეალი" მაინც ვერ წარმომიდგენია. რაული ხომ „სამეფო კლუბის" თილისმაა და მისი ადგილი სათადარიგოთა სკამზე ნამდვილად არ არის.

**— ახლახან ესპანეთის მოქალაქე გახდით და ალბათ, ფორმულა 1-ის რბოლაში ფერნანდო ალონსოს ქომაგობდით...**

— ალონსო ჩემ თვისტომს, ლეგენდარულ აირტონ სენას მაგონებს, სენა კი ჩემი კერპი იყო. ამიტომაც ახლა ფერნანდოს ვქომაგობ. მართალია, იგი საუკეთესო ბოლიდით არ დაჰქრის, მაგრამ „რენოს" გაუმართლა, მისი მანქანის საჭეს სწორედ ალონსო რომ უზის. მჯერა, ფერნანდო მსოფლიოს ჩემპიონი გახდება.

# ამხანაგური მატჩი



AFP ნიუ იორკიდან

„ჩელსის" მცველმა პაულუ ფერეირამ კრისტიან ვიერი ამჯერად კი შეაჩერა, მაგრამ მილანელმა გოლი მაინც გაიტანა, თუმც არ ჩაუთვალეს

**მილანი (იტალია) 1:1 ჩელსი (ინგლისი)**

0:1 დროგბა (54), 1:1 რუი კოშტა (80)

მილანი: ელეფთეროპულოსი (ფიორი 46), კაფუ, ნესტა, სტამი (კოსტაკურტა 46), კალაძე, გატუზო (ფოგელი 68), პირლო, ამბროზინი (მარცორატი 89), ზეედორფი (რუი კოშტა 46), ჯილარდინო, ვიერი

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

ჩელსი: კუდიჩინი (ჩეხი 46), პ. ფერეირა (რ. კარვალიუ 46), ტერი (ჰუთი 74), გალასი (გ. ჯონსონი 54), დელ ორნო, ჯ. კოული (შ. რაიტ-ფილიპსი 46), მაკელელე (ტიაგუ 60), ლამპარდი, დაფი, კრესპო (დროგბა 46), გუდიონსენი (ჯერემი 69)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: ამბროზინი

მსაჯი: ბრაიან ჰალი (აშშ)

30 000 მაყურებელი

# კოშტას კოხტა გოლი

## ვიერი გაიბრწყინებს

**ამერიკულ** ტურნეში „მილანი" და „ჩელსი" მეორედ დაეტაკნენ ერთმანეთს და თითო გოლი გაცვალეს. პირველ ჯახში იტალიელებს ფორვარდები აკლდთ და წააგეს, ამჯერად კი ალბერტო ჯილარდინომ კრისტიან ვიერისთან ერთად ითამაშა. ანდრეი შევჩენკო იტალიაში ტრავმას იშუშებს, ფილიპო ინძაგი ისევ დაშავებულია, ხოლო კონფედერაციათა თასზე დაღლილი კაკა ჯერაც ისვენებს.

ნამატჩევს ჟოზე მაურინიუმ პრესკონფერენციაზე მისვლა იუარა, სათქმელი არაფერი მაქვსო და თანაშემწე სტივ კლარკი მიავლინა, რომელიც რაღაცეებს მიედ-მოედო. ბევრი კარლო ანჩელოტისაც არ ულაპარაკია: „ამჯერად განსხვავებული ტაქტიკით, უფრო აგრესიულად ვითამაშეთ, ვიდრე ერთი კვირის წინ" — თქვა მან.

ტრავმირებული პაოლო მალდინის ადგილი ანჩელოტიმ კახა კალაძეს ანდო. ქართველ მცველს, კაფუსა და ჯილარდინოს პირველ ტაიმში არცთუ ურიგო მომენტები ჰქონდათ. ჩელსელთაგან კი ფრენკ ლამპარდს და დემიენ დაფს შეეძლოთ გატანა.

შესვენების შემდეგ უფრო საინტერესო თამაში გაჩაღდა, რასაც დიდიე დროგბას გოლი მოჰყვა — კოტდივუარელმა ფორვარდმა ჯანით აჯობა ჯერ გატუზოს, მერე კოსტაკურტას და ვალერიო ფიორის დაბალ კუთხეში გაუტანა.

აქედან ექვს წუთში კრისტიან ვიერიმ გაათანაბრა, მაგრამ ოფსაიდის გამო არ ჩაუთვალეს. მანუელ რუი კოშტამ კი მაინც შეძლო გაქვითვა — საჯარიმოში შესულმა პორტუგალიელმა პეტრ ჩეხს მარცხნივ ჩაუზრიალა ბურთი. მერე კი ჯილარდინომ, დროგბამ და ლამპარდმა თითო-თითო შანსი ვერ გამოიყენეს.

„მილანის" გენერალურმა დირექტორმა არიედო ბრაიდამ განაცხადა, ალბერტო ჯილარდინო ძალიან ძლიერი ფეხბურთელია, მაგრამ მომავალი სეზონი კრისტიან ვიერისა იქნებაო. „ჯილარდინო ამჟამად ერთ-ერთი საუკეთესო იტალიელი ფორვარდია — აღნიშნა ბრაიდამ — მას ნაკრებში პრობლემა ალბათ არ შეექმნება და მარჩელო ლიპი 2006-ში გერმანიაში წაიყვანს. რაც შეეხება ვიერის, მისთვის გერმანია ბოლო შანსია და ამ სეზონში ყველანაირად ეცდება, უმაღლეს დონეზე ითამაშოს, რათა ლიპის ყურადღება მიიქციოს. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ კრისტიან ვიერი „მილანში" საუცხოო სეზონს ჩაატარებს".

**ვაჟა ხუციშვილი**

# მძევლები

**ლისაბონის** „ბენფიკას" შარშან აშენებული ახალი სტადიონის გამო ესპანურ ფირმა „რომაგეს" ვალი დაედო. ესპანელებს გარანტია სჭირდებოდათ, რომ კლუბი ფულს გაისტუმრებდა, მაგრამ ახლა, ფირმასა და კლუბს შორის გაფორმებული კონტრაქტის მიხედვით, „ბენფიკა" ვალს დროულად თუ არ დააბრუნებს, ხუთივე ფეხბურთელზე უფლება „რომაგეს" გადაეცემა.

დაგირავებულნი კი ყოფილან: პორტუგალიის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი პეტიტი, ბერძენი პანაიოტის ფისასი, ბრაზილიელი ჯოვანი, „მარსელის" ყოფილი მოთამაშე მანუელ დუშ სანტუში და პორტუგალიელი ფორვარდი კარლოს კუნია.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ესპანელი მწვრთნელები შეზღუდული გაქანების ხალხია

## მიწიას ბიზნესი, ფეხბურთი და მძლეოსნობა

*აშშ-ის მოქალაქე დმიტრი პიტერმანი — უკვე საინტერესოდ ჟღერს, ხომ მართალია? თან თუ დავძენთ, რომ ეს ადამიანი წარმოშობით ოდესელია, მისი პერსონის მიმართ კაცს ინტერესი უთუოდ გაგიორმაგდება. მაინც ვინ არის დმიტრი პიტერმანი? ეს გახლავთ ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ესპანურ ფეხბურთში გამოჩენილი ყველაზე სკანდალური ფიგურა, რომელმაც პირენეებზე თავიდან ასე შედგა ფეხი: სანტანდერის „რასინგის“ აქციათა 25 პროცენტი იყიდა და ყოველგვარი ლიცენზიის გარეშე თავი გუნდის მწვრთნელადაც გამოაცხადა*



დმიტრი პიტერმანმა საფეხბურთო სამყაროში სახელი ფოტოგრაფობით გაითქვა

**დადიოდა** ამერიკის მოქალაქე მოედნის კიდეზე წინ და უკან და ფეხბურთელებს შენიშვნებს აძლევდა იქამდე, ვიდრე ესპანური ფეხბურთის ჩინოვნიკებმა ცოფები არ ჰყარეს — ეს მასაჟისტად გაფორმებული მატყუარა მანდედან მოშორდეს, თორემ ჩვენს ქვეყანაში მოღვაწეობას საერთოდ ავუკრძალავთო. ამის გამგონე პიტერმანმა გაბრაზებულებს პასუხად ასეთი რამ შეუთვალა — ესპანურ საფეხბურთო კანონმდებლობას კარგად გავეცანი და ვნახე, რომ მოედნის თავზე ფრენა და იქიდან მითითებების მეგაფონით ყვირილი აკრძალული არა გქონიათ, ასე რომ, თუ აუტის ხაზთან არ მაყენებთ, მე თქვენ სეირს გაჩვენებთო.

ამის შემდეგ პიტერმანმა ბასკეთში გაშალა ფრთები, ვიტორიის „ალავესის“ აქციათა საკონტროლო პაკეტს დაეუფლა და... ჟურნალისტებს გამოუცხადა, თუ ჩემს ფეხბურთელებთან ინტერვიუ გინდათ, ერთ საუბარში 1000 ევრო გადაიხადეთო. ამას მოჰყვა ერთ-ერთ ჟურნალში მისი შიშველი ფოტოები — ანუ პოზიორობა დაიწყო — და სრულიად ხმაურიანი განცხადება იმის თაობაზე, რომ ქალაქ ვიტორიას მერი მატყუარაა.

მაგრამ ასეა თუ ისე, „ალავესი“ პრიმერადივიზიონში, ან როგორც მეორენაირად ეძახიან „ლა ლიგაში“ გადავიდა, ხოლო ქომაგთათვის ეს უმთავრესია.

დღეს, კითხვაზე, თუ რა გეგმები გაქვთ ლიგაში, სადაც „რეალი“, „ბარსა“ და „ვალენსია“ გამოდიან, დმიტრი პიტერმანი პასუხობს: მინდა, რომ ტიტულის მოგება ვცადოთ.

ბიოგრაფიული ცნობები: დმიტრი პიტერმანი 1964 წელს, როგორც მოგახსენეთ, ოდესაში დაიბადა. მამამისი ყმაწვილკაცობაში სპორტსმენობდა, შემდეგ მესაათე გახლდათ, ხოლო დედა სკოლაში მუსიკას ასწავლიდა. „მიწია“, როგორც მოფერებით ეძახიან, 8 წლისა ერთდროულად მძლეოსნობაზეც მივიდა და ქალაქ ოდესის კიევის რაიონის ფეხბურთელ ბავშვთა გუნდში ბურთიც გააგორა. მართალია, თვითონ სხვანაირად უნდა წარმოაჩინოს, მაგრამ პატარა პიტერმანს მძლეოსნობა ფეხბურთზე გაცილებით უკეთ ეხერხებოდა. სხვა ამბავია, რომ თავად დაუჩემებია, ფეხბურთს რომ გავყოლოდი, ძალიან ძლიერი ვიქნებოდი, ერთხელ, მორფლოტის სტადიონზე სავსე ტრიბუნების წინაშეც კი ვითამაშეო. რომელიღაც ბავშვთა შეჯიბრებაში ყველაზე მეტი გოლიც კი გაუტანია, მაგრამ...

მოკლედ, მიწია 12 წლისა რომ გახლდათ, პიტერმანების ოჯახმა საბჭოეთიდან ამოუწურავი შესაძლებლობების ქვეყანაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში გააღწია. ამ თარიღების ხაზგასმით იმის თქმა გვინდა, რომ პიტერმანზე საუბრისას „ახალი რუსის“ კომიკურ ფიგურას ნუ წარმოიდგენთ. იგი მოსკოვში სულ ერთხელ, 24 წლისა ტურისტადაა ნამყოფი და საქმე ისე აქვს დაყენებული, რომ თვით ესპანეთშიც მისთვის რუსი არავის „უკადრებია“.

ამერიკაში კი პატარა პიტერმანს ფეხბურთი არ დახვდა, ხოლო მძლეოსნობა რამდენიც გნებავთ. ვფიქრობთ, საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ კარგა ხნის შემდეგ, ოდესიდან გადახვეწილი ბიჭი სიგრძეზე ხტომაში ამერიკის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატთა შორის იყო, მაგრამ აბა, კარლ ლუისებს და მაიკ პაუელებს ბარსელონაში წამსვლელთა შემადგენლობიდან როგორ ამოაგდებდა? ბარსელონის ოლიმპიადა, შეგახსენებთ, 1992 წელს იყო. ამ დროისთვის კი დმიტრი პიტერმანს უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვით რამდენიმე მილიონი დოლარი უკვე ნაშოვნი ჰქონდა და ბერკლის უნივერსიტეტის საკმაოდ პრესტიჟული დიპლომიც ედო ჯიბეში.

ასე და ამგვარად, პიტერმანი, როგორც მძლეოსანი, ესპანეთში ვერ ჩავიდა, მაგრამ ვინაიდან ეს ქვეყანა გულში ამოეჭრა, იქ ბიზნესმენის რანგში გაშალა ფრთები — კოსტა ბრავაში ჯერ სახლი შეიძინა, შემდეგ სასტუმრო. სალვადორ დალის შემოქმედებით გატაცებულმა, პალამოსში დიდი მხატვრის მუზეუმის მშენებლობა დააფინანსა, შეიძინა ადგილობრივი საფეხბურთო კლუბი და... იმ წელიწადსვე აიყვანა ერთი დივიზიონით მაღლა. აი, მაშინ შეუყვარდა ამერიკელს ესპანურ ფეხბურთში ტრიალი და იქიდან დაიწყო.

„მე თუ მკითხავთ, ესპანეთში კლუბები სწორი პრინციპით არ მოქმედებენ. აქ, პრეზიდენტებს ფეხბურთელების ყიდვას მწვრთნელები კარნახობენ, ხოლო მათ მხოლოდ მწვრთნელთა თანამდებობიდან გაშვება შეუძლიათ. ეს შედეგთან ბრძოლაა და არა მიზეზთან. მერედა, მწვრთნელს რომ გააგდებ, კომპენსაცია უნდა გადაუხადო. ამის უფლებას „რეალი“ თუნდაც სეზონში ორჯერ მისცემს თავს, მე კი ვერა. გამოდის, რომ საქმეში მილიონები ტრიალებს, მაგრამ ამ მილიონებს ბედი და შემთხვევითობა განაგებს. დასკვნა: კლუბისა და გუნდის ხელმძღვანელობა, ფაქტობრივად, ერთი და იგივე რამაა, ხოლო საფეხბურთო მოედანი ჩემი ოფისია“ — ამბობს პიტერმანი, რომელიც საერთოდ მწვრთნელებზე, საკმაოდ ორიგინალური შეხედულებისა ბრძანებულა:

„ფეხბურთში ყველა ერკვევა, ხოლო ბევრი ლეგენდარული მწვრთნელის კარიერა შემთხვევით ეპიზოდებზე, გამართლებაზე, მაგალითად, რიკოშეტზეა აწყობილი. ესპანელი მწვრთნელები მეტწილად ყოფილი ფეხბურთელები, შეზღუდული გაქანების გაუნათლებელი ადამიანები არიან. მათ ცხოვრებაში ბურთზე მაღლა არ აუხედიათ. გასაგებია, რომ ზოგი მათგანი იღბლიანია და ზოგი შედარებით ჭკვიანი, მაგრამ“...

მთავარი კი, როგორც თავში მოგახსენეთ შედეგია. დმიტრი პიტერმანს მოუგია მესამე დივიზიონი, მოუგია სეგუნდაც.... და მხოლოდ იმიტომ, რომ ექსცენტრული ქცევის ადამიანია, მოდით, მის შესაძლებლობაზე ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გამოვიტანთ.

**პაპუნა ძიდია**

## ამხანაგური მატჩები

კარდიფი (უელსი) 0:2 ვესტ ბრომვიჩი (ინგლისი)
ტოტენჰემი (ინგლისი) 2:2 ასტონ ვილა (ინგლისი)
იანგ ბოისი (შვეიცარია) 0:2 უდინეზე (იტალია)
ლივორნო (იტალია) 3:0 მეცანა (იტალია)

## დანია

### სუპერლიგა. III ტური

ოლბორგი — მიდტიულანდი 1:1; ჰორსენსი — ოდენსე 0:0; ორჰუსი — ვიბორგი 2:3; ნორდსიელანდი — კოპენჰაგენი 1:2; სილკებორგი — სიონდერიულანდი 3:2; ესბიერგი — ბრონდბიუ 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიბორგი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:3 | 9 |
| ბრონდბიუ | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| კოპენჰაგენი | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 9 |
| სილკებორგი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| ოდენსე | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| სიონდერიულანდი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| მიდტიულანდი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | 4 |
| ესბიერგი | 3 | 0 | 1 | 2 | 5:7 | 1 |
| ოლბორგი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| ნორდსიელანდი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| ჰორსენსი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:5 | 1 |
| ორჰუსი | 3 | 0 | 0 | 3 | 4:7 | 0 |

### I დივიზიონი. I ტური

ბრაბრანდი — კიოგე 1:0; სკიოლდი — რანდერსი 1:3; ფრედერისია — ბრიონსჰიოი 2:0; ფრემი — ფრემადი 2:2; იოლსტიკე — აკადემისკი 1:1; ჰერფიოლგე — ლიუნგბიუ 3:0; ნიკიობინგი — კოლდინგი 3:1. *ჰელერუპი — ვაილე ხვალ გაიმართება*

## შვედეთი

### ალსვენსკა. XVI ტური

მალმიო — ელფსბორგი 1:1; ასირისკა — იორგრიტე 0:1; კალმარი — სუნდსვალი 0:0; ჰამარბი — ჰალმსტადი 2:1; ჰელსინგბორგი — იურგორდენი 2:0; გიოტებორგი — ჰეკენი 1:0. *ლანდსკრონა — გეფლე დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 16 | 9 | 3 | 4 | 31:18 | 30 |
| ჰელსინგბორგი | 16 | 9 | 3 | 4 | 25:20 | 30 |
| გიოტებორგი | 16 | 8 | 5 | 3 | 20:10 | 29 |
| მალმიო | 16 | 8 | 3 | 5 | 18:15 | 27 |
| ჰეკენი | 16 | 8 | 1 | 7 | 23:17 | 25 |
| ჰამარბი | 16 | 7 | 4 | 5 | 23:17 | 25 |
| კალმარი | 16 | 6 | 7 | 3 | 16:12 | 25 |
| ელფსბორგი | 16 | 6 | 5 | 5 | 23:23 | 23 |
| ჰალმსტადი | 16 | 5 | 3 | 8 | 20:23 | 18 |
| იორგრიტე | 16 | 5 | 3 | 8 | 20:25 | 18 |
| გეფლე | 15 | 5 | 2 | 8 | 12:19 | 17 |
| ლანდსკრონა | 15 | 4 | 4 | 7 | 15:29 | 16 |
| ასირისკა | 16 | 4 | 1 | 11 | 13:19 | 13 |
| სუნდსვალი | 16 | 3 | 4 | 9 | 15:27 | 13 |

### სუპერეტა

### გადადებული მატჩები

ლიუნგსკილე — გაის 1:1; ბოდენსი იორებრო 1:0; ბრომაპოიკარნა ვასტერასი 3:2; მიალბი — ატვიდაბერგი 2:2

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XV ტური

ლინი — ლილესტრიომი 1:0; ბრანი — ვოლერენგა 1:2; ჰამ კამი — ტრომსიო 3:2; ოდ გრენლანდი — ალესუნდი 2:1; რუსენბორგი — ბოდიო გლიმტი 2:0; სტარტი — მიოლდე 1:0; ვიკინგი — ფრედრიკსტადი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტარტი | 15 | 10 | 3 | 2 | 28:15 | 33 |
| ვოლერენგა | 15 | 9 | 3 | 3 | 25:16 | 30 |
| ვიკინგი | 15 | 9 | 3 | 3 | 25:17 | 30 |
| ბრანი | 15 | 7 | 3 | 5 | 30:19 | 24 |
| ლინი | 15 | 6 | 6 | 3 | 20:13 | 24 |
| ლილესტრიომი | 15 | 7 | 3 | 5 | 21:19 | 24 |
| რუსენბორგი | 15 | 6 | 3 | 6 | 27:20 | 21 |
| ფრედრიკსტადი | 15 | 5 | 4 | 6 | 20:22 | 19 |
| მიოლდე | 15 | 5 | 3 | 7 | 20:28 | 18 |
| ჰამ კამი | 15 | 5 | 2 | 8 | 16:22 | 17 |
| ოდ გრენლანდი | 15 | 4 | 3 | 8 | 11:26 | 15 |
| ალესუნდი | 15 | 3 | 4 | 8 | 15:24 | 13 |
| ტრომსიო | 15 | 2 | 6 | 7 | 15:21 | 12 |
| ბოდიო გლიმტი | 15 | 2 | 4 | 9 | 14:25 | 10 |

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. XVII ტური

ჰიკ — როვანიემი 7:0; ლაჰტი — [illegible]კა 0:0; იარო — მარიეჰამნი 0:[illegible]; [illegible]უპა — ტურკუ 1:0; ტამპერე [illegible] ოპიო 0:0; ტპ-47 — ალიანსი [illegible]

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუპა | 16 | 11 | 4 | 1 | 29:[illegible] | [illegible] |
| ჰიკ | 16 | 9 | 7 | 0 | 31:1[illegible] | [illegible] |
| ჰაკა | 15 | 6 | 8 | 1 | 21:8 | [illegible] |
| ინტერი | 13 | 6 | 5 | 2 | 18:7 | [illegible] |
| ტამპერე | 14 | 6 | 5 | 3 | 18:13 | [illegible] |
| ალიანსი | 15 | 5 | 8 | 2 | 17:19 | [illegible] |
| კტპ | 16 | 6 | 4 | 6 | 21:22 | [illegible] |
| ლაჰტი | 17 | 5 | 4 | 8 | 22:28 | [illegible] |
| მარიეჰამნი | 15 | 4 | 5 | 6 | 15:18 | [illegible] |
| ტურკუ | 14 | 4 | 3 | 7 | 12:16 | 15 |
| კუოპიო | 16 | 4 | 3 | 9 | 16:27 | 15 |
| როვანიემი | 17 | 3 | 6 | 8 | 16:32 | 15 |
| იარო | 16 | 2 | 6 | 8 | 7:20 | 12 |
| ტპ 47 | 16 | 2 | 2 | 12 | 9:21 | 8 |

## ირლანდია

### პრემიერლიგა. XIX ტური

უოტერფორდი — დერი სიტი 1:3; ბოჰემიანსი — დუბლინი 1:1; ბრეი — შემროკი 2:3; დროჰედა — ლონგფორდი 1:1; სენტ პატრიკსი — კორკ სიტი 0:2. *ფინ ჰარპსი — შელბურნი გადაიდო*

## ბრაზილია

### სერია A. XVI ტური

კრუზეირო — ფორტალეზა 3:0; გოიასი — ატლ. მინეირო 3:1; ვასკუ და გამა — სან კაეტანო 3:2; ბოტაფოგო — ფლამენგო 0:2; კურიტიბა — ბრაზილიენსე 1:1; ფიგეირენსე ფლუმინენსე 1:1; პონტე პრეტა ინტერნასიონალი 1:1; სანტოსი — კორინთიანსი 4:2; ჟუვენტუდე სან პაულუ 2:1; პალმეირასი — ატლ. პარანენსე 1:1; პაისანდუ — პარანა 3:4

## მექსიკა

### აპერტურა

### I ტური

კრუზ ასული — მორელია 2:1; მონტერეი — პაჩუკა 1:2; დორადოსი — ატლანტე 3:1; გვადალახარა — ხაგუარესი 1:1; ვერაკრუსი — ატლასი 2:1; ნეკაქსა — ტოლუკა 0:0; სან ლუისი — ტეკოსი 2:1; ამერიკა — ტიგრესი 3:1; სანტოსი — უნამი 1:2

## უკრაინა

### უმაღლესი ლიგა. IV ტური

შახტარი — კრივბასი 1:0; ზაკარპატია — დინამო 1:2; არსენალი დნიპრო 1:0; ილიჩევეცი — ჩერნომორეცი 0:1; მეტალისტი — ტავრია 2:0; სტალი — ვოლინი 2:2; მეტალურგი (ზ) — ხარკოვი 3:6; ვორსკლა — მეტალურგი (დ) 1:1

# მარლე, მარლე

**სტივ მარლეს** „ფულემი“ და მხოლოდ პრემიერლიგა აღარ ხიბლავს, ამიტომ „ოსერში“ გადასვლაზე ფიქრობს, რომელიც უეფას თასზე ითამაშებს. მარლემ ბოლო ორი სეზონი იჯარით „მარსელში“ გაატარა და ამ ზაფხულს ლონდონის „ფულემს“ დაუბრუნდა. გუნდთან ერთად ვარჯიშობს, მაგრამ ფრანგს უთქვამს, ისეთ კლუბში მინდა ევროტურნირზე რომ თამაშობსო. თავდაპირველად მისით პრემიერლიგის გუნდები დაინტერესდნენ, მაგრამ „ოსერის“ მწვრთნელ ჟაკ სანტინისთან საუბრის შემდეგ საფრანგეთში დაბრუნება მოისურვა.

სანტინის აზრით, 31 წლის მარლე ბონავენტურე კალუს იდეალური შემცვლელი იქნება. კალუ კი, გეხსომებათ, პსჟ-ში გადავიდა. „ფულემი“ და „ოსერი“ იმედოვნებენ, რომ ფეხბურთელის ტრანსფერზე მორიგდებიან.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **6 აგვისტო** | | | | | | | | |
| 18:00 | 38 | ინვერნესი-რეინჯერსი | 7.50 | 4.30 | 1.30 | 2.73 | 1.10 | 1.00 |
| 18:00 | 39 | სელტიკი-დანდი იუნაიტედი | 1.20 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.33 |
| 18:00 | 40 | ლივინგსტონი-ფოლკირკი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 18:00 | 42 | აბერდინი-კილმარნოკი | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| **7 აგვისტო** | | | | | | | | |
| 17:00 | 43 | ჰართსი-ჰიბერნიანი | 2.25 | 3.00 | 2.95 | 1.28 | 1.27 | 1.48 |

**გერმანია. I ბუნდესლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **5 აგვისტო** | | | | | | | | |
| 22:30 | 59 | ბაიერნი-მიონხენგლადბახი | 1.35 | 4.30 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.73 |
| **6 აგვისტო** | | | | | | | | |
| 17:30 | 60 | კიოლნი-მაინცი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 17:30 | 61 | ჰანოვერი-ჰერტა | 2.65 | 3.00 | 2.45 | 1.40 | 1.27 | 1.34 |
| 17:30 | 62 | ვერდერი-არმინია | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 17:30 | 63 | ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 2.50 | 3.10 | 2.60 | 1.38 | 1.27 | 1.41 |
| 17:30 | 64 | დუისბურგი-შტუტგარტი | 2.75 | 3.20 | 2.35 | 1.47 | 1.26 | 1.35 |
| 17:30 | 65 | ჰამბურგი-ნიურნბერგი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| **7 აგვისტო** | | | | | | | | |
| 19:30 | 66 | აინტრახტი-ლევერკუზენი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 19:30 | 67 | შალკე-კაიზერსლაუტერნი | 1.55 | 3.80 | 5.00 | 1.10 | 1.18 | 2.15 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **2 აგვისტო** | | | | | | | | |
| 20:30 | 77 | ჰამბურგი(მ)-ვერდერი(მ) | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 21:30 | 78 | კილი-ვუპერტალი | 1.75 | 3.40 | 3.80 | 1.15 | 1.19 | 1.79 |
| 21:30 | 79 | ესენი-ლიუბეკი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 21:30 | 80 | ვატენშეიდი-დიუსელდორფი | 2.25 | 3.10 | 2.75 | 1.30 | 1.23 | 1.45 |
| **3 აგვისტო** | | | | | | | | |
| 21:00 | 81 | იენა-ლევერკუზენი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 21:00 | 82 | ოსნაბრიუკი-ობერჰაუზენი | 1.75 | 3.40 | 3.75 | 1.15 | 1.19 | 1.78 |
| 21:30 | 83 | კიოლნი(მ)-ემდენი | 1.65 | 3.40 | 4.30 | 1.11 | 1.19 | 1.89 |
| 21:30 | 84 | ზტ.პაული-ერფურტი | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 21:30 | 85 | ქემნიცი-ჰერტა(მ) | 2.10 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.26 | 1.54 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **6 აგვისტო** | | | | | | | | |
| 20:30 | 114 | ივერდონი-ბაზელი | 4.30 | 3.40 | 1.65 | 1.89 | 1.19 | 1.11 |
| 21:30 | 115 | ციურიხი-თუნი | 2.30 | 3.00 | 2.80 | 1.30 | 1.26 | 1.44 |
| 21:30 | 116 | შაფჰაუზენი-სტ.გალენი | 2.45 | 3.10 | 2.55 | 1.36 | 1.24 | 1.39 |
| 21:30 | 117 | აარაუ-ქსამაქსი | 2.30 | 3.00 | 2.80 | 1.30 | 1.26 | 1.44 |
| 21:30 | 118 | იანგ ბოიზი-გრასჰოპერი | 2.10 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.26 | 1.54 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **6 აგვისტო** | | | | | | | | |
| 19:15 | 128 | ლანსი-მარსელი | 2.45 | 2.80 | 2.90 | 1.30 | 1.32 | 1.42 |
| 22:00 | 129 | მონაკო-ოსერი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 22:00 | 130 | სოშო-პსჟ | 2.65 | 2.90 | 2.60 | 1.38 | 1.31 | 1.37 |
| 22:00 | 131 | ტულუზი-ნიცა | 1.95 | 3.10 | 3.50 | 1.19 | 1.25 | 1.64 |
| 22:00 | 132 | ტრუა-სტ.ეტიენი | 2.55 | 2.80 | 2.80 | 1.33 | 1.33 | 1.39 |
| 22:00 | 133 | ბორდო-ნანსი | 1.65 | 3.30 | 4.80 | 1.10 | 1.22 | 1.95 |
| 22:00 | 134 | მეცი-ლე მანი | 2.00 | 3.00 | 3.50 | 1.20 | 1.27 | 1.61 |
| 22:00 | 135 | აიაჩო-ლილი | 2.70 | 2.80 | 2.65 | 1.37 | 1.33 | 1.36 |
| **7 აგვისტო** | | | | | | | | |
| 20:00 | 136 | რენი-ნანტი | 1.85 | 3.10 | 3.90 | 1.15 | 1.25 | 1.72 |
| 22:45 | 137 | ლიონი-სტრასბური | 1.40 | 3.90 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.43 |

**საფრანგეთი II დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **3 აგვისტო** | | | | | | | | |
| 22:30 | 139 | ლორიანი-ლავალი | 1.85 | 2.90 | 4.20 | 1.12 | 1.28 | 1.71 |

**ბელგია. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **5 აგვისტო** | | | | | | | | |
| 22:30 | 149 | ბრიუგე-მუსკრონი | 1.25 | 4.60 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 2.98 |
| **6 აგვისტო** | | | | | | | | |
| 20:00 | 150 | სტანდარდი-ლიერსი | 1.40 | 3.90 | 6.80 | 1.03 | 1.16 | 2.47 |
| 22:00 | 151 | სტ.ტრუიდენი-რუზელარე | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 22:00 | 152 | ბევერენი-ბრიუსელი | 2.20 | 3.10 | 2.95 | 1.28 | 1.26 | 1.51 |
| 22:00 | 153 | გენტი-ვარეგემი | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 22:00 | 154 | ანდერლეხტი-ლუვიე | 1.25 | 4.90 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.10 |
| 22:00 | 155 | ვესტერლო-სერკლი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 22:00 | 156 | ლოკერენი-გენკი | 2.80 | 3.00 | 2.40 | 1.44 | 1.29 | 1.33 |
| **7 აგვისტო** | | | | | | | | |
| 20:00 | 157 | შარლერუა-ბეერსხოტი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |

**ჩეხეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **6 აგვისტო** | | | | | | | | |
| 20:00 | 193 | ზლინი-ბლშანი | 1.80 | 3.20 | 3.90 | 1.15 | 1.23 | 1.75 |
| 16:25 | 199 | პლზენი-სპარტა | 5.60 | 3.80 | 1.45 | 2.26 | 1.15 | 1.04 |
| **7 აგვისტო** | | | | | | | | |
| 19:00 | 194 | პრჟიბრამი-ბრნო | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| 19:00 | 195 | ბოლესლავი-ლიბერეცი | 2.65 | 2.90 | 2.50 | 1.38 | 1.28 | 1.34 |
| 19:00 | 196 | იაბლონეცი-სლოვაცკო | 2.05 | 3.00 | 3.30 | 1.21 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 198 | მოსტი-ტეპლიცე | 2.75 | 2.90 | 2.35 | 1.41 | 1.26 | 1.29 |
| **8 აგვისტო** | | | | | | | | |
| 18:40 | 197 | სიგმა-ბანიკი | 2.00 | 3.10 | 3.40 | 1.21 | 1.25 | 1.62 |

**სლოვაკეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **6 აგვისტო** | | | | | | | | |
| 20:00 | 200 | ნიტრა-ბ.ბისტრიცა | 2.30 | 3.00 | 2.85 | 1.30 | 1.27 | 1.46 |
| 20:00 | 201 | პუხოვი-რუჟომბეროკი | 2.45 | 3.00 | 2.65 | 1.34 | 1.27 | 1.40 |
| 20:00 | 202 | დუბნიცა-ინტერი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 22:00 | 203 | ტრნავა-ტრენჩინი | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 22:00 | 204 | ჟილინა-პეტრჟალკა | 2.00 | 3.00 | 3.40 | 1.20 | 1.25 | 1.59 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **3 აგვისტო** | | | | | | | | |
| 21:00 | 240 | ალესუნდი-ჰამარი | 2.10 | 3.30 | 3.20 | 1.28 | 1.26 | 1.62 |
| 21:00 | 242 | ბოდო გლიმტ-ოდ გრენლანდ | 2.30 | 3.30 | 2.80 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 21:00 | 243 | ფრედრიკსტადი-რუსენბორგი | 3.40 | 3.50 | 1.95 | 1.72 | 1.23 | 1.25 |
| 21:00 | 244 | ტრომსიო-ბრანი | 2.80 | 3.30 | 2.30 | 1.51 | 1.26 | 1.35 |
| 21:00 | 245 | ლილესტრიომი-ვიკინგი | 2.05 | 3.30 | 3.30 | 1.26 | 1.26 | 1.64 |
| 23:00 | 246 | სტარტი-ლინი | 1.85 | 3.40 | 3.90 | 1.19 | 1.25 | 1.81 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **2 აგვისტო** | | | | | | | | |
| 21:00 | 265 | ლანდსკრონა-გეფლე | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |

**ფინეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **3 აგვისტო** | | | | | | | | |
| 20:00 | 283 | როვანიემი-ინტერი | 3.00 | 3.00 | 2.20 | 1.50 | 1.26 | 1.26 |
| 20:00 | 284 | მარიეჰამნი-ტპ 47 | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 20:00 | 285 | კუოპიო-კტპ | 2.35 | 3.00 | 2.75 | 1.31 | 1.26 | 1.43 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **2 აგვისტო** | | | | | | |
| 22:45 | 295 | დერი-ბოჰემიანი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 23:45 | 319 | ატლეტიკო პრ-გოიასი | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 23:45 | 320 | ბრაზილენსე-კრუზეირო | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 23:45 | 322 | ატლეტიკო მნ-პაისანდუ | 1.55 | 3.50 | 4.90 | 1.07 | 1.17 | 2.04 |
| 23:45 | 323 | ინტერნასიონალი-სანტოსი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 23:45 | 324 | ფლამენგო-პონტე პრეტა | 2.45 | 3.00 | 2.70 | 1.34 | 1.28 | 1.42 |
| 23:45 | 325 | პარანა-ბოტაფოგო | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 23:45 | 326 | კორინთიანსი-კურიტიბა | 1.45 | 3.70 | 5.50 | 1.04 | 1.14 | 2.21 |
| 23:45 | 328 | სან კაეტანო-ჟუვენტუდი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| | | **4 აგვისტო** | | | | | | |
| 23:45 | 321 | სან პაულუ-პალმეირასი | 2.20 | 3.30 | 2.70 | 1.32 | 1.21 | 1.48 |
| 23:45 | 327 | ფლუმინენსე-ვასკუ და გამა | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| 23:45 | 329 | ფორტალესა-ფიგეირენსე | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **2 აგვისტო** | | | | | | |
| 22:45 | 357 | ლივერპული-კაუნასი | 1.06 | 8.50 | 18.00 | 1.00 | 1.00 | 5.77 |
| 22:45 | 358 | სელტიკი-პეტრჟალკა | 1.25 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.21 |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 360 | ჰაკა-ვოლერენგა | 2.65 | 3.20 | 2.30 | 1.44 | 1.23 | 1.33 |
| 20:00 | 361 | ლოკომოტივი-რაბოტნიჩკი | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |
| 20:00 | 362 | მაკაბი-მალმიო | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 363 | ტრაბზონი-ანორთოსისი | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |
| 21:30 | 365 | სტიაუა-შელბურნი | 1.25 | 4.90 | 9.00 | 1.00 | 1.06 | 3.17 |
| 21:30 | 366 | ტირასპოლი-პარტიზანი | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| 22:15 | 367 | ჰაიდუკი-დებრეცენი | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 22:15 | 368 | თუნი-დინამო(კ) | 3.20 | 3.30 | 2.05 | 1.62 | 1.24 | 1.26 |
| 22:15 | 369 | რაპიდი-დუდელანჟი | 1.05 | 9.00 | 16.00 | 1.00 | 1.00 | 5.76 |
| | | **გერმანია. თასი** | | | | | | |
| | | **2 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 396 | შტუტგარტი-შალკე | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| | | **შვედეთი. თასი** | | | | | | |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 381 | ასირისკა-ნორჩიოპინგი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| | | **ისლანდიის თასი** | | | | | | |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 23:40 | 384 | ფრამი-ჰაფნაფიორდური | 4.00 | 3.40 | 1.70 | 1.83 | 1.19 | 1.13 |
| | | **4 აგვისტო** | | | | | | |
| 23:40 | 385 | ვალური-ფილკირი | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| | | **ინტერტოტოს თასი** | | | | | | |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 391 | ლანსი-ვოლფსბურგი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 22:00 | 392 | როდა-ვალენსია | 2.95 | 3.20 | 2.10 | 1.53 | 1.22 | 1.26 |
| 22:15 | 393 | ჰამბურგი-სიგმა | 1.30 | 3.90 | 8.30 | 1.00 | 1.12 | 2.65 |
| 23:00 | 394 | მარსელი-ლაციო | 1.90 | 3.00 | 3.90 | 1.16 | 1.27 | 1.69 |
| 22:45 | 395 | ნიუკასლი-დეპორტივო | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |



ზაზა ფაჩულია ახალგაზრდა კალათბურთელს მითითებას აძლევს

# ვილაცამ ტრევიზოს კემპს გადაუფრინა

## ფაჩულიას ნოვიცკიმ გადაუსწრო

**გუშინ იტალიის ქალაქ ტრევიზოში დასრულდა ნბა-ს მიერ ორგანიზებული საზაფხულო ლიგა, რომელშიც ორი ქართველი მონაწილეობდა. ზაზა ფაჩულია მწვრთნელი გახლდათ, ხოლო ახალგაზრდა კალათბურთელი გიორგი გაფრინდაშვილი --- შეგირდი**

„ბენეტონი" არის ნბა-ს დასაყრდენი ევროპაში და პროგრამით „კალათბურთი საზღვრებს გარეშე" ტრევიზოში ყოველწლიურად იმართება საზაფხულო ლიგა. ნბა ამ პროგრამით ყველა კონტინენტზე ატარებს საწვრთნელ შეკრებებს, თუმც ჩვენი ინტერესის ობიექტი, ცხადია, ტრევიზოა.

ამჯერად „ბენეტონის" ბაზაზე ნბა-ს ხუთი კალათბურთელი ჩაიდა მწვრთნელად. ანდრეი კირილენკოს, დირკ ნოვიცკის, გორდან გირიჩეკისა და პრიმოჟ ბრეზეცთან ერთად ტრევიზოს ლიგის მონაწილე ერთ-ერთი გუნდს ზაზა ფაჩულია წვრთნიდა.

ზაზას გუნდს ერქვა „მილუოკი", ხოლო დანარჩენებს მათი მწვრთნელების გუნდების სახელები — კირილენკოსას „იუტა", ნოვიცკისას „დალასი" და ასე შემდეგ.

გიორგი გაფრინდაშვილი თანამემამულე ფაჩულიას გუნდში არ მოხვდა, ის დირკ ნოვიცკის „დალასში" გაამწესეს და ამ გუნდის გაჩემპიონებაში მან ლომის წილიც დაიდო.

არადა, საკუთრივ „მილუოკისთან" მატჩი „დალასმა" დათმო, მაგრამ ფაჩულიას გუნდს ბოლო შეხვედრაში არ გაუმართლა, ანდრეი კირილენკოს „იუტა ჯაზთან" დამარცხდა და...

„მილუოკის" წაფორთხილებით ისარგებლა „დალასმა", გაფრინდაშვილის ქებული გარჯის წყალობით „ატლანტა" დააჩოქა და ჩემპიონიც გახდა. გაფრინდაშვილის კარგ თამაშს ნაღდად არ ვაჭარბებთ, ეს თავად ნბა-ს წარმომადგენლებმა აღნიშნეს.

NBA.COM-ზე სულ რაღაც ნახევარგვერდიანი სტატია გამოქვეყნდა, რომელშიც ხაზგასმითაა აღნიშნული გაფრინდაშვილის კარგი თამაში:

„მიუხედავად იმისა, რომ ქართველი გიორგი გაფრინდაშვილი ტურნირის სიმბოლურ ხუთეულში ვერ მოხვდა, ის იყო ბოლო დღის გმირი და ვარსკვლავი. მისი დახმარებით „დალასმა" „ატლანტა" დაამარცხა და დირკ ნოვიცკის გუნდი ჩემპიონი გახდა".

მერე თავად გაფრინდაშვილის კომენტარსაც ვეცნობით:

„ეს იყო ჩემი პირველი მაღალი დონის კემპი და ამიტომაც ძალიან გახარებული ვარ. მე არც კი ველოდი გამარჯვებას და ეს იყო სასიამოვნო მოულოდნელობა".

გაფრინდაშვილი გახდა ლიგის ფინალის ტოლფასი მატჩის უძვირფასესი მოთამაშე და სპეციალურ პრიზთან ერთად ჟურნალისტთა და სკაუტთა ყურადღებაც დაიმსახურა.

რაც შეეხება ფაჩულიას გუნდს, „მილუოკი" მეორეზე გავიდა. თავად ზაზამ გუშინ დატოვა ტრევიზო და ამერიკაში კონტრაქტის გასაფორმებლად გაფრინდა.

**ირაკლი პერტაია**



გიორგი გაფრინდაშვილს იტალიური ტელევიზია ელაპარაკება

**კადეტთა ევროპის ჩემპიონატი. B დივიზიონი. პროვედი. ბულგარეთი**

# ქართველების რევანში

## ახალგაზრდების ხურდა უნგრელებს კადეტებმა დაუბრუნეს

**საქართველო 77:54 უნგრეთი**
**21:21 14:11 18:13 24:9**

**საქართველო:** ძიძიგური (32 წუთი, 18 ქულა), მათიაშვილი (19 წუთი, 16 ქულა, 7 მოხსნა), შენგელია (34 წუთი, 13 ქულა, 15 მოხსნა)



რიჩარდ მათიაშვილი

**ქართველმა** კადეტებმა ახალგაზრდული ნაკრების სახელით შური იძიეს უნგრელებზე და ისე შეარცხვინეს, რომ მეტოქეს კარგა ხანი ხმა არ ამოეღება. ახლახან ბულგარეთშივე გაიმართა ევროპის ახალგაზრდულ ნაკრებთა ევროსაკვალიფიკაციო ტურნირი და იქ ნუგზარ კანდელაკის გუნდს სწორედ უნგრეთმა აართვა A დივიზიონის საგზური. კადეტთა ნაკრებს კი ჯგუფში უნგრელთა გუნდი ერგო და ბულგარელების კვალზე ისიც ერთი ხელის დაკვრით გააცამტვერეს.

ქარველებს უნგრელებთან მხოლოდ პირველ მეოთხედსა და მეორეს დასაწყისში გაუჭირდათ, როცა მეტოქე მეტ-ნაკლებად აქტიურობდა და გარკვეულ უპირატესობასაც მიაღწია.

საწყისი ათწუთეული 21:21 დასრულდა და თამაში რომ განახლდა, უნგრეთი 30:22 დაწინაურდა. ეს იყო და ეს, უნგრელების რბევა ქართველებმა ალეკო ძიძიგურის მეთაურობით დაიწყეს. გელა წულაძის შეგირდებმა სამქულიანების ტყორცნას მიჰყვეს ხელი, ფარქვეშ კი საიმედო ბურჯივით იდგა რევაზ შენგელია და რიჩარდ მათიაშვილი.

საქართველო მეორე მეოთხედის შუაწელში დაწინაურდა და მერე და მერე სულ უფრო ზრდიდა უპირატესობას. თამაშის ბედი ბოლო მეოთხედში გაირკვა, როცა 7 ქულით წამოწეული უნგრელები ქართველებმა სამიანებით დაბომბეს, დაცვაში იყოჩაღეს და დიდი ანგარიშით, 77:54 იმარჯვეს.

ამ მოგებით ქართველებმა მომდევნო ეტაპზე გასვლა, ანუ ჯგუფში მინიმუმ მეორე ადგილი გაინაღდეს. თუმც რატომ მეორე? დღეს ჩვენები შვედეთს ეთამაშებიან, რომელიც უნგრელებთან პირველ ტურში უიმედოდ დამარცხდა და რაღა ქართველებთან გაუღიმებთ ბედი.

ამ ეტაპის გადალახვის შემდეგ ქართველები ახალ, ოთხგუნდა ჯგუფში მოხვდებიან და თუ იქიდანაც გავლენ, ფინალის ტოლფასი, A დივიზიონის საგზურის მომტანი ნახევარფინალი ელით.

**ირაკლი პერტაია**

### ჟურნალისტთა საყურადღებოდ

3 აგვისტოს საქართველოს კალათბურთის ფედერაცია იწყებს ეროვნული ნაკრების საშინაო მატჩებზე დასასწრები აკრედიტაციების გაცემას — 7 სექტემბერს მაკედონიასთან და 10 სექტემბერს ლუქსემბურგთან. მსურველებმა მიმართეთ ფედერაციის პრესატაშე ზურაბ თალაკვაძეს.

ტელ. 899 439788



# თეთრი პროცედურები

**რაპი** 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად ბორჯომიც ჩაერთო, შეგახსენებთ თეთრი ოლიმპიადის მისაღებად პროცედურების თანმიმდევრობას:

28 ივლისს დასრულდა ამ ოლიმპიადის მსურველთა განაცხადების მიღება, სადაც საბოლოოდ შვიდი პრეტენდენტი დაფიქსირდა (ალმათა, ბორჯომი, ზალცბურგი, პენჩინგი, სოფია, სოჭი და ხაკა). ახლა თითოეულ კანდიდატს მოუწევს 2006 წლის 1 თებერვლამდე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ანკეტებში დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა. იმავე თებერვალში პრეტენდენტებმა განაცხადი უნდა წარადგინონ ტურინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე;

2006 წლის 21-23 ივნისს საერთაშორისო ოლიმპიური, კომიტეტის აღმასკომის სხდომაზე, რომელიც ლოზანაში გაიმართება, ამჟამინდელი შვიდი ქალაქიდან დამტკიცდება ხუთი ქალაქი კანდიდატი, რომელიც 2014 წლის თეთრი ოლიმპიადის მისაღებად ბრძოლას განაგრძობს.

2006 წლის 23 ივნისს ქალაქ კანდიდატებს კვლავ დაეგზავნებათ ანკეტები, ხოლო საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ამ კანდიდატებისგან 2007 წლის 10 იანვარამდე უნდა მიიღონ საგანაცხადო წიგნები.

2007 წლის თებერვალ-აპრილის შუა რიცხვებში ხუთივე კანდიდატ ქალაქს მოინახულებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელი კომისია, რომელიც თავის დასკვნებს გააცნობს იმავე წელს გვატემალაში გასამართ სოკ-ის სესიას, სადაც გაიმართება კენჭისყრა და გამოცხადდება ხუთიდან ერთი ბედნიერი, რომელიც 2014 წლის ოლიმპიადას უმასპინძლებს.

მანამდე რამე რომ არ შეგვეშალოს, ამ დღეებში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მისივე თხოვნით უმასპინძლებს რამდენიმე უცხოელ ექსპერტს, რომელთაც მსგავს საკითხებში დიდი გამოცდილება აქვთ და მათგან სათანადო რჩევადირეგებებსაც მოისმენს.

**ავთანდილ ტყვიშელი**





გუშინ ამ დარბაზში ქართველთაგან მაია ჩიბურდანიძემ იმარჯვა

# გამარჯვების მომტანი პარტია მაიასი გამოდგა

**გეტებორგში** მოჭადრაკეთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატი გრძელდება. ტურნირის მონაწილეებმა 1 აგვისტოს მესამე რაუნდი ითამაშეს.

ქართველ კაცთა გუნდს სომხეთისა დაუპირისპირდა და ანგარიშით 3:1 დაამარცხა. ზურაბ აზმაიფარაშვილმა და მიხეილ მჭედლიშვილმა ვლადიმერ აკოფიანთან და სმბატ ლპუტიანთან ყაიმი გაახერხეს, ბაადურ ჯობავამ და ლევან ფანცულაიამ კი ლევონ არონიანთან და რაფაელ ვაგანიანთან წააგეს.

უკეთ ითამაშა ჩვენმა მანდილოსანთა გუნდმა, რომელმაც უკრაინელებს მოუგო ანგარიშით 2,5-1,5. სამი პარტია ყაიმით დასრულდა. მაია ლომინეიშვილი კატერინა ლიანოს დაუზავდა, ნანა ძაგნიძე ანა უშენინას, ხოლო ქეთევან არახამია-გრანტი ტატიანა ვასილევიჩს.

გამარჯვების მომტანი პარტია კი მაია ჩიბურდანიძისა გამოდგა, რომელმაც ნატალია ჟუკოვას დააყრევინა ფარ-ხმალი.

**ლადო ჟულუკიძე**

# პოლონეთში ევროხალიჩა დააგეს

## ევროპის ჩემპიონები ევროპის ჩემპიონატზე წავიდნენ



დღეს პოლონეთის ქალაქ ვროცლავში ახალგაზრდა მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყება და კვირამდე გასტანს. 3-4 აგვისტოს ხალიჩაზე თავისუფალი სტილის მოჭიდავეები გავლენ, ხოლო 6-7-ში ბერძენ-რომაელები. თავისუფლების წინასაევროპო სამზადისსა და შემადგენლობაზე ნაკრების თავკაც ნუგზარ სხირელს რამდენიმე დღის წინ ვესაუბრეთ და დავწერეთ კიდეც. მისი გუნდი პოლონეთში შაბათს გაემგზავრა, ამჯერად კი ბერძენ-რომაელთა მთავარ მწვრთნელ ვლადიმერ ადეიშვილთან ინტერვიუს გთავაზობთ. გუშინწინ მას წინასაჩემპიონატო შეკრების ბოლო ვარჯიშის შემდეგ შევხვდით

— ივლისის დასაწყისში, მსოფლიოს ჩემპიონატიდან დაბრუნების შემდეგ საევროპო შეკრება 19 ივლისს დავიწყეთ ნაძალადევში მდებარე „მართვეს“ დარბაზში. მასში ნაკრების თითქმის ყველა წევრი და კანდიდატი მონაწილეობდა ახალი შემადგენლობაც ჩამოვაყალიბეთ.

**— მსოფლიოს ჩემპიონატმოვლილი გუნდის შემადგენლობა მთლიანად გადაახალისეთ?**

— ექვსი მოჭიდავე შევცვალეთ. კაუნასმოვლილი ბიჭებიდან მხოლოდ 50 კილოგრამში მოჭიდავე ლაშა გოგიტიძე და მძიმეწონოსანი ოთარ ბოლქვაძე იჭიდავებენ ევროპის ჩემპიონატს. მსოფლიოზე ერთადერთი ბრინჯაოს მედლის მომპოვებელი რევაზ ლაშხი (55 კგ) ტრავმის გამო ვერ მოდის პოლონეთში. ნაკრებში მის ადგილს გიორგი გვენეტაძე დაიკავებს. ზურაბ ზავრაშვილს (60 კგ) წლევანდელი თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი ზვიად აბულაძე შეცვლის, ომარ ბაკურიძეს (66კგ) მარად სურმანიძე, ოთარ ფევაძეს (74 კგ) ახალგაზრდული საერთაშორისო სპორტული თამაშების ჩემპიონი შმაგი სალთხუციშვილი, ვლადიმერ გეგეშიძეს (84 კგ) აკაკი ჯოხაძე, ხოლო გივი მორჩილაძეს (96კგ) გურამ ფერსელაძე.

**— მსოფლიოზე ნაჭიდავები შემადგენლობის გადახალისება ცუდი შედეგის გამო გადაწყვიტეთ?**

— მიზეზი მხოლოდ ეს როდია. მსოფლიოს შემდეგ მწვრთნელთა საბჭო შევკრიბეთ და გადაწყვეტილება ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ მივიღეთ. კადეტთა და ახალგაზრდული ნაკრებების უმთავრესი მიზანი ქვეყნის ძირითადი ეროვნული გუნდისთვის რაც შეიძლება ძლიერი მოჭიდავეების მიწოდებაა. რა თქმა უნდა, ამ ასაკში საერთაშორისო მიღწევებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს შემადგენლობის ხშირი ცვლილებებითაც შესაძლებელია. გუნდში კონკურენციაც გაიზრდება და იმედგაცრუებული ახალგაზრდა მოჭიდავეები საზღვარგარეთ წასვლაზეც აღარ იფიქრებენ.

**— ომარ ბაკურიძემ უკვე დიდ ნაკრებშიც მოასწრო ჭიდაობა. შარშანდელ ახალგაზრდულ ევროპის ჩემპიონატზე მან ოქრო მოიგო, მაგრამ მსოფლიო ჩაუვარდა. ხომ არ ჯობდა, ევროპაზე შანსი კიდევ მიგეცათ?**

— ომარს წონის პრობლემა ჰქონდა. 8-9 კილოგრამის დაკლება კი ძალიან რთულია. მას თავისი შესაძლებლობები არაერთგზის დაუმტკიცებია.

**— მსოფლიოს ჩემპიონატზე ფავორიტად ჩასულმა საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ ერთი ბრინჯაო მოიგო. მიზეზი?**

— ამ ჩავარდნას ბევრი წინაპირობა ჰქონდა. თუნდაც ფედერაციაში დატრიალებული ამბები. არეულობაში ძალაუნებურად მოჭიდავეებიც იყვნენ ჩართულნი. არის კიდევ ნიუანსები, რომელთა ერთობლიობამაც ეს შედეგი მოიტანა.

**— წარუმატებელი მსოფლიოს პირველობის შემდეგ პოლონეთში ბიჭებს ფსიქოლოგიური პრობლემა ხომ არ ექნებათ?**

— ამის რისკი მართლაც დიდი იქნებოდა, ევროპაზე იგივე შემადგენლობა რომ წაგვეყვანა. ამ ბიჭებს კი სტრესი არ უნდა ჰქონდეთ. ევროპის ჩემპიონატზე აუცილებლად უკეთესი შედეგი უნდა ვაჩვენოთ.

**— შარშანდელ ევროპირველობაზე საქართველოს ნაკრებმა გუნდური ჩემპიონობა მოიპოვა. წლეულს რამდენად რეალურია იგივეს მიღწევა?**

— ეს ადვილი არ იქნება, თუმცა ცდას არ დავაკლებთ. ყველანი მაქსიმალური შედეგისთვის იბრძოლებენ.

**ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი**

ვროცლავი. 2-7 აგვისტო

**საქართველოს ნაკრები**

| თავისუფალი | | ბერძნულ-რომაული |
|---|---|---|
| კოკა კოტორაშვილი | 50 კგ | ლაშა გოგიტიძე |
| მალხაზ ქურდიანი | 55 კგ | გიორგი გვენეტაძე |
| მალხაზ ზარქუა | 60 კგ | ზვიად აბულაძე |
| ცოტნე ბარამიძე | 66 კგ | მარად სურმანიძე |
| ნიკა ტლაშაძე | 74 კგ | შმაგი სალთხუციშვილი |
| ნიკო გაგნიძე | 84 კგ | აკაკი ჯოხაძე |
| ზაალ მარტიაშვილი | 96 კგ | გურამ ფერსელაძე |
| გიორგი ნიკურაძე | 120 კგ | ოთარ ბოლქვაძე |



# კროსბის დრაფტი

**2005 წლის 30 ოქტომბერს ნჰლ-ში სიდნი კროსბის ერა დაიწყო. 18 წლის უნიჭიერესი ყმაწვილი ტრადიციულ დრაფტზე მოსალოდნელი პირველი ნომრით აირჩიეს და ასეთი იღბალი, როგორც ეს უკვე ცნობილი იყო დრაფტამდე ჩატარებული ლატარიის შემდეგ, მარიო ლემიეს „პიტსბურგს“ ხვდა წილად. ამგვარად, ზუსტდა 21 წლის შემდეგ „პინგვინებს“ კვლავ ელიტარულ გუნდად ქცევის ბრწყინვალე საშუალება მიეცათ.**



სიდნი კროსბი

**დაგვეთანხმებით**, რომ გუნდისთვის, რომელიც ბოლო ხანებში მხოლოდ ჰოკეისტების გაყიდვაზე ფიქრობდა, ეს ნამდვილად ზღაპრული შანსია და ვინ იცის, იქნებ სულ რაღაც 2-3 წელიწადში ჩვენ ისევ ის „პიტსბურგი“ ვიხილოთ, რომელიც ასე ახარებდა მაყურებლის თვალს ათიოდე წლის წინათ. იმაში, რომ სიდნი კროსბის სუპერვარსკვლავად ქცევის ყველა შესაძლებლობა აქვს, ეჭვი არავის ეპარება.

ნორჩმა ვუნდერკინდმა თავისი თავი ისე წარმოაჩინა, რომ მისი ნათელი მომავლის უკვე ყველას სწამს.

„მას ყველა ის მონაცემები აქვს, რაც დიდ ჰოკეისტს ახასიათებს — ყველაფერი იცის, ბრწყინვალედ ხედავს ყინულს და მშვენიერი, არანაკლები ტექნიკა აქვს. ერთხელ მან მითხრა, რომ დარტყმა ჯერ კიდევ არ უვარგა, მაგრამ პირადად მე ამ კომპონენტშიც ვერ ვხედავ ნაკლს“ — როცა ასეთ დახასიათებას თვით მარიო ლემიე იძლევა, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. რაც მთავარია, კროსბის ლემიეს სახით გვერდში შესანიშნავი მასწავლებელი და მისაბაძი ეყოლება. თანაც, როგორც ირკვევა, ეს მხოლოდ მომდევნო სეზონში როდი იქნება. ზუსტად იმ საათებში, როდესაც ოტავაში დრაფტი მიმდინარეობდა, სააგენტოებმა ლემიეს სენსაციური ინტერვიუ გაავრცელეს, რომელშიც „სუპერმარიომ“ პირნათლად განაცხადა, რომ ის მინიმუმ ორ სეზონს, ეგებ სამსაც კი, კვლავ ნჰლ-ში გაატარებს. შესაძლოა, ზოგს ეს არცთუ დამაჯერებლად მოეჩვენოს, მაგრამ ლემიემ უკვე მიგვაჩვია სასწაულებს. მარტო მისი ჰოკეიში დაბრუნება რად ღირდა უმძიმესი ავადმყოფობის — კიბოს შემდეგ. თანაც წინა სეზონის გაუქმების შედეგად მარიოს დასვენების და ტრავმების საბოლოოდ განკურნების საშუალებაც მიეცა. ასე რომ, გამორიცხული არაა, წლეულს (და არა მარტო წლეულს) ისევ ის ძველი ლემიე ვიხილოთ. ის კი, ლემიეს დიდი მადა რომ აქვს, მისმა კიდევ ერთმა ნათქვამმა დაადასტურა:

„ჩვენ ძალიან აქტიურები ვიქნებით თავისუფალი აგენტების ბაზარზე, ვინაიდან ძლიერი გუნდი უნდა შევქმნათ და... სტენლის თასისთვის ვიბრძოლოთ...

მოდით, ისევ დრაფტს დავუბრუნდეთ. დრაფტისწინა ლატარიის და კროსბის აშკარა ფავორიტობის გამო წლეულს ცერემონია, შესაძლოა, ნაკლებად შთამბეჭდავი იყო, მით უმეტეს, რომ ლოკაუტთან დაკავშირებული კოლიზიების გამო დრაფტი ამჯერად გაცილებით გვიან გაიმართა და მას ჩვეული პომპეზურობა და აყალმაყალი აკლდა. თუმცა, იმის შემდეგაც, რაც კროსბი აირჩიეს და მან №87 მაისურა მოიზომა, კიდევ რამდენიმე საყურადღებო ფაქტი დაფიქსირდა.

დავიწყოთ იმით, რომ მეორე და მესამე ნომრად აშშ-ელები აირჩიეს, რაც 1987 წლის შემდეგ პირველად ხდება. ჯერ იყო და, „ანაჰაიმმა“ რომელიც სათამაშო მანერით ერიკ ლინდროსს წააგავს, შემდეგ კი „კაროლინამ“ მცველი ჯეკ ჯონსონი ირჩია. ამ ბიჭს ნიუჯერსელ სკოტ სტივენს ადარებენ საიმედო და ხისტი თამაშის გამო.

სხვათა შორის, ჯონსონი სკოლამდელ ასაკში კროსბის თანაგუნდელი იყო.

მეოთხე ნომრად „მინესოტამ“ კანადელი ფორვარდი ბენუა პუიო აიყვანა, ხოლო მომდევნო ნომრის მფლობელმა „მონრეალმა“ ყველასთვის მოულოდნელად თვალი მეკარე კერი პრაისს დაადგა, რაც საკმაოდ გასაკვირია, ვინაიდან კანადურ კლუბს უკვე ჰყავს ძლიერი და, რაც მთავარია, ახალგაზრდა გოლკიპერი ჟოზე თეოდორი. თუმცა სიურპრიზები ამით როდი დასრულდა. მხოლოდ მე-11 ნომრად აირჩიეს პირველი ევროპელი. ასეთი რამ 1987 წლის შემდეგ არ მომხდარა, მაგრამ უფრო სენსაციური ის გახლდათ, რომ საუკეთესო ევროპელად სლოვენიელი (!) ანცე კოპიტარი იქცა.

საკვირველია, როგორ გაიზარდა დიდ ჰოკეისაგან საკმაოდ შორს მყოფ ქვეყანაში ასეთი იმედისმომცემი მოთამაშე, მაგრამ ფაქტია... კოპიტარმა ჩინებულად ჩაატარა სეზონი შვედეთის უმაღლეს ლიგაში და მსოფლიოს ჩემპიონატზეც იმიასპარეზა, თითქოს მთელი თავისი ცხოვრება ასეთ დონეზე გადიოდა. თუ კოპიტარი სრიალის ტექნიკასაც გააუმჯობესებს, მას ყველა შანსი აქვს, ექსტრა-კლასის ცენტრფორვარდად იქცეს.

სულ კი პირველ რაუნდში მხოლოდ შვიდი ევროპელი მოხვდა მაშინ, როცა აშშ-ელთა რაოდენობამ 8 შეადგინა. ამ ფონზე უფრო თვალში საცემი რუსთა ფიასკო იყო. ამ ქვეყნის პირველი წარმომადგენელი ვიტალი ანიკეენკო მხოლოდ მესამე რაუნდში, 70-ე ნომრად აიყვანა „ოტავამ“, შარშანდელი დრაფტი კი „რუსული“ გახლდათ.

შეგახსენებთ, რომ 2004 წლის პირველი ორი ნომერი ალექსანდრ ოვეჩკინსა და ევგენი მალკინს ხვდა წილად და იმასაც დავუმატებთ, რომ მალკინი ასევე „პიტსბურგის“ მიერაა არჩეული. თუ „პინგვინები“ მასთანაც მოახერხებენ კონტრაქტის გაფორმებას, გუნდს ნამდვილად საინტერესო და იმედისმომცემი მომავალი ელის.

აი, ასეთი იყო 2005 წლის დრაფტი, რომელიც ჯერჯერობით ისტორიაში შევიდა, როგორც კროსბის დრაფტი. თუმცა მოდით, დაველოდოთ და ვნახოთ, რამდენად გაამართლებს ვუნდერკინდი დიდ იმედებს. და საერთოდ, იქნებ დღესდღეობით მასზე გაცილებით დაბლა მდგომი ბიჭებისგან გამოვიდეს დიდი ვარსკვლავები. ნუ დაგვავიწყდება, რომ იმავე 1984 წლის მარიოსთან ერთად დრაფტზე პატრიკ რუა, ბრეტ ჰალი და ლუკ რობიტაილიც აირჩიეს.

**სამველ ლარიბიანი**



გილერმო კორია



კიმ კლაისტერსი



ანდრე აგასი

# სამი ფინალი სტატისტიკური ნიაღსვლებით

**BANK OF WEST CLASIC**

**სტენფორდი. მაგარსაფარი.**
**საპრიზო 585 ათასი $**

**ფინალი**

**კიმ კლაისტერსი (4, ბელგია) — ვინუს უილიამსი (2, აშშ) 7:5 6:2**

**ტურნირის** ორგზის ჩემპიონთა ფინალმა მოსალოდნელზე უფრო მქლედ ჩაიარა, რაკილა ბარაქიანი სამსეტა ჭახა-ჭუხის ნაცვლად ლამის ცალკორტა ჩოგნაობა ვიხილეთ.

ვინუს უილიამსს კიმ კლაისტერსისთვის მათი აქამომდელი რვა შეხლიდან ექვსი მოეგო (აქედან ერთი — 2002 წლის სტენფორდობის ფინალში), წლეულს ანტვერპენშიც დაემარცხებინა და იმის გათვალისწინებით, რომ უიმბლდონობაზე გალაღების შემდეგ თავს კვლავაც დიდ ჩემპიონად გრძნობს, თითქოს არც ამ შეხლის მოგება უნდა გასჭირვებოდა.

მაგრამ მან, პირველ სეტს რომ 5:4 იგებდა, სეტის თავისსავე გეიმზე „განაღდება" ვერ შეძლო, მეორე კი თავიდანვე ბითურად დაიწყო და კიმს ისე ღონივრად გაქუსვლის საშუალება მისცა, რომ მერე ველარაფრით დაეწია.

დღეს მან ფანტასტიკურად ითამაშაო, ამბობდა მერე კიმის შესახებ, თუმცა იქვე იმასაც დასძენდა, რომ ამ მატჩის მოგება თავადაც შეეძლო, სადავეები უდროო დროს რომ არ მოებოშებინა.

კიმს კი იმ დღეს არაფერი მობოშებია — განსაკუთრებით კარგად და აგრესიულად მეორე სეტში გაირჯა და ვინუსს ფიორა შანსიც არ დაუთმო, რათა მას ნახევარფინალში პატი შნიდერთან ნაჩვენები გაემეორებინა.

შეგახსენებთ, რომ შვეიცარიელის წინაალმდეგ ვინუსმა ხუთმატჩბურთოვან ბეწვის ხიდზე გავლა და მატჩის სწორედ მეორე სეტში გადარჩენა მოახერხა. ჩვენც ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, სტატისტიკაზე გადავიდეთ:

ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ ეს ვინუსის მე-500 სადაბლიუტიეიო მატჩი გახლდათ. ცხადია, უფროს უილიამსდას ძალიან უნდოდა, საიუბილეო შეხვედრა თავის მესამე (2000 და 2002 წლების შემდეგ) სტენფორდული ტიტულით მოეგვირისტებინა, მაგრამ იქაური ჰეთთრიქით ეს ამბავი ტურნირის 2001 და 2003 წლების ჩემპიონს გაუსრულდა.

ეს კიმის მეოთხე საამსეზონო და 25-ე საკარიერო ჯილდო გახლავთ. ამსეზონამდელი 21 იქით იყოს და წლეულს მის მიერ მორეწილ განსხვავებულებს კი დასტურ მოგაგონებთ — ფუმფულა ბელგიელმა გაზაფხულზე მიჯრით იმარჯვა ინდიანუელსსა და მაიმიში, მოგვიანებით, უიმბლდონისთვის მოსათელ ისტბორნობაზე კი კარიერის პირველ საბალახსაფრო ტიტულსაც შესწვდა.

სათქმელია ისიც, რომ თავისი მესამე სტენფორდული ჯილდოს მოხვეჭით ის დაბლიუტიეის ისტორიაში მეთორმეტე მდედრი შეიქნა, საპრიზო მონაგარით უკვე ათ მილიონ დოლარს რომ გადააჭარბა.

მისი საამსეზონო წარმატებები მით უფრო დასაფასებელია, რომ წინა წლის უმეტესი დრო მან მარცხენა მაჯის ტრავმის გამო კორტის გარეთ დაჰყო და სარბიელს მხოლოდ წლევანდელი თებერვლის დასაწყისში მოუბრუნდა.

„როცა უკან ვიყურები, ისე მგონია, რომ ტრავმა ყველაზე კარგი იყო, რაც კი შეიძლება, შემმთხვეოდა. რატომ? იმიტომ, რომ ამან საკუთარ გრძნობებში გარკვევისა და საკუთარი თავის უკეთ შეცნობის საშუალება მომცა. ახლა ყოველგვარი გაურკვევლობა წარსულშია, წინ კი პერსპექტივებითა და იმედებით სავსე გზა ძევს, რომლის ღირსეულად გავლაში დღევანდელი გამარჯვება გამორჩევით დამეხმარება" — ამბობდა ნაფინალევს კიმი და იქ შეკრებილ მილეთის თავისი ფუმფულა ღიმილით ბანგავდა.

**MERCEDES-BENZ CUP**

**ლოს ანჯელესი. მაგარსაფარი.**
**საპრიზო 355 ათასი $**

**ფინალი**

**ანდრე აგასი (1, აშშ) — ჟილ მიულერი (ლუქსემბურგი) 6:4 7:5**

**მსუბუქი** ლოსანჯელესური ერთკვირეული — და, შეგახსენებთ, ამ კვირის განმავლობაში სამ სეტად მას მხოლოდ პარადორნ შრიჩაფანთან მოუხდა გარჯა — 35 წლის არმენოამერიკელმა მეოთხე იქაური, პირველი საამსეზონო და მე-60 საკარიერო ტიტულის მოხვეჭით გაასრულა.

ბებერმა ფაკირმა გადამწყვეტ მატჩში საათნახევარი მოანდომა 22 წლის ლუქსემბურგელი ჟილ მიულერის გაჩხიბვას და ამით მასზე შარშანდელი ვაშინგტონობის ნახევარფინალში ნაწვნევი მარცხისთვისაც ირევანშა.

შეგახსენებთ, რომ რაგინდარა ტიტული აგასის ზუსტად ერთი წლის განმავლობაში ანუ შარშანდელი ცინცინატობის შემდეგ აღარ მოეგო.

საკუთრივ ლოსანჯელესობაზე — აკი ზემოთვე მოგახსენეთ — მან უკვე მეოთხედ იტიტულა (მისი წინა სამი გამარჯვება 1998, 2001-02 წლებზე მოდის) და ამით ტურნირის 79-წლოვან ისტორიაში ფრანკ პარკერის (1941-42, 1944, 1945), როი ემერსონისა (1959, 1962, 1964, 1967) და ჯიმი კონორსის (1973-74, 1982, 1984) შემდეგ ტურნირის მეოთხე ოთხგზის ჩემპიონი შეიქნა.

ეს მისი 88 ფინალი იყო და უნდა მოგახსენოთ, მოქმედ მეჩოგნეთაგან ვინმე ვერც ამდენ ფინალს დაიკვეხს და ვერც, რასაკვირველია, ასეთ საფინალო ბალანსს — 60:28. ისიც ცხადია, რომ ამჟამინდელთაგან ვინმეს ჯერ არც 253 მარცხის წილ 849 გამარჯვება დაჰგროვებია. ამ მაჩვენებლით შტეფი გრაფის მეუღლე ღია პირველობათა ერაში ანუ 1968 წლიდან მხოლოდ ოთხ კაცს — ჯიმი კონორსს (1222:269), ივან ლენდლს (1070:238), გილერმო ვილასს (920:281) და ჯონ მაკინროის (867:192) ჩამორჩება.

და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ის წლეულს უკვე მეოთხე ოცდაათსგადაცილებული მეჩოგნეა, ვინაც საეიტიპიო ტიტული იშოვა. მანამდე ეს ავსტრალიელმა უეინ ართურსმა (სკოტსდეილი), დანიელმა კენეტ კარლსენმა (მემფისი) და ბრიტანელმა გრეგ რუზეცკიმ (ნიუპორტი) მოახერხეს.

სხვათა შორის, ანდრე 30-ს 2000-ში გადაცდა და მას შემდეგ უკვე 15 ტიტულის მოხვეჭა მოასწრო.

**ხორვატიის ღია პირველობა**

**უმაგი. თიხნარი.**
**საპრიზო 319 ათასი €**

**ფინალი**

**გილერმო კორია (2, არგენტინა) — კარლოს მოია (6, ესპანეთი) 6:2 4:6 6:2**

**უნიჭიერეს** 23 წლის არგენტინელ გილერმო კორიას უკვე თხუთმეტი თვე იყო, ერთი ქეციანი ტიტულიც ველარ მოემკა. ან კი, როგორ მოიმკიდა, როცა მის სათუღფვე თიხნარსაფარზე რვა ტიტულის მომნაგრავმა რაფაელ ნადალმა და ამაზე სამით ნაკლების მიმთვლელმა გასტონ გაუდიომ გაილალეს. ამათგან მეორე გასულ კვირაში კიცბიუელში გამოდიოდა და, თავადაც უწყით, იჩემპიონა კიდეც, ნადალს კი ფეხის მცირე ტრავმამ დაუშალა, თორემ უმაგობაზე უცილობლად უნდა გამოსულიყო. უამათობაში კი კორიამ აფრები აუშვა და დამაჯერებლად ჩათამაშებული კვირა ფინალში ტურნირის ოთხგზის (1996, 2001-03 წლების) ჩემპიონ კარლოს მოიასთან ლამაზი მოგებით დააგვირგვინა.

ეს მათი მეშვიდე დაპირისპირება იყო და ნატიფმა მალიორკელმა ჩიკორა გაუჩოსთან უკვე მეხუთედ დათმო. წლეულს მონტეკარლოურ და რომაულ მასტერსფინალებში დამარცხებულმა კორიამ საკარიერო ტიტულმონაგარი ცხრამდე აიყვანა.



# მოკრივის თაფლობის თვე

**მსოფლიოს** ექს-ჩემპიონი, სუპერმძიმეწონოსანი მოკრივე ლენოქს ლუისი ახლა ბელფასტშია (ჩრდილოეთ ირლანდია), სადაც თავის ცოლთან, რომელთანაც ამ ცოტა ხნის წინათ რამდენიმეწლიანი ერთად ცხოვრების შემდეგ ოფიციალურად გააფორმა ქორწინება, თაფლობის თვე აქვს.

რომანტიკული მოგზაურობისთვის ეგზომ უჩვეულო ადგილი შემთხვევით არ შეურჩევია — ბელფასტში მიმდინარეობს კინოფილმ „JOHNNY WAS"-ის გადაღება, რომელშიც ლუისი ერთ-ერთ როლს ასრულებს. ლუისთან ერთად ამ ფილმში, რომელიც გაი რიჩის სტილში გადაღებული კომედიური ბოევიკი იქნება, იღებენ აგრეთვე წარსულში ცნობილ ფეხბურთელს ვინი ჯონსს („ბანქო, ფული, ორი ლულა", „დიდი ფსონი"), ლეგენდარული ჯგუფის THE WHO-ის სოლისტს როჯერ დალტრის და ირლანდიელ პოპ-ვარსკვლავს სამანტა მამბას.

ბრიტანეთის ტელეკომპანია BBC-თვის მიცემულ ინტერვიუში ლენოქს ლუისმა იმედი გამოთქვა, რომ კინო მისთვის ახალი პროფესია გახდება და ისიც განაცხადა, კრივს აღარ დავუბრუნდებიო.

ამგვარად, შესაძლოა, უახლოეს ხანში რომელიმე რეჟისორმა მოინდომოს ლუისზე ფილმის გადაღება. მთავარი გმირის ძებნა ხომ, ამ შემთხვევაში საჭირო აღარ იქნება. ლუისი დღესვე მზადაა გადასაღებად მაგრამ საინტერესო ისაა, თუ მოინდომებს იგი ფილმში ჩხუბს.





# პაპარაცები და შვედი მძლეოსნები

**მძლეოსანთა** მსოფლიოს ჩემპიონატის წინ შვედეთის ნაკრები ფინეთში ბალტიის ზღვის ალანდის კუნძულებზეა შეკრებაზე. იქ შეჯიბრებებისთვის მოსამზადებლად საუკეთესო პირობებია, მაგრამ სპორტსმენებს თადარიგში ხელს უშლიან პაპარაცი ფოტოგრაფები, რომლებიც ცნობილ შვედ მძლეოსნებს კაის ბერგკვისტს (სიმაღლეზე ხტომა) და კაროლინ კლიუფტს (მრავალჭიდი) ჩასაფრებიან.

„ჩვენ თხოვნით მივმართეთ ადგილობრივ პრესას, რათა თავი განებონ სპორტსმენებს, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა, — ამბობს შვედეთის ნაკრების პრეს-ატაშე ფრედრიკ ტრანი. — ამიტომ გუნდის ხელმძღვანელობა იმუქრება, ვარჯიშებს უცხო თვალისთვის დავხურავთო.

## მსოფლიოს ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში. მონრეალი. 17-31 ივლისი



4X100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში ბრინჯაოს მედალოსანი იაპონელები

# ისინი ამოვიდნენ წყლიდან

## მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა

**ამრიგად**, საწყლოსნო სახეობათა მსოფლიოს მე-11 ჩემპიონატზე დედამიწის ცხრა რეკორდი დამყარდა. თუმცა დიდი სიხარული მხოლოდ რეკორდს როდი მოაქვს.

ჰელას! ჰელას! ყვიროდნენ ბერძენი მოცურავეები, როდესაც მათმა თანამემამულემ და თანაგუნდელმა არისტეიდის გრიგორიადისმა 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში ოქროს მედალი მოიპოვა. რამდენიმე დღის წინ გრიგორიადისი 100 მეტრზე იმავე სტილით ცურვაში მეექვსე იყო, მაგრამ ჩემპიონატის ბოლო დღეს, მოკლე დისტანცია მან ჩინებულად გაცურა, წამზომზე 24,05 დააფიქსირა და 24,99 წამიან ავსტრალიელ მეტ უელშს სულზე მიასწრო.

„ბედნიერი ვარ ასეთ შედეგს რომ მივაღწიე, — განაცხადა დაჯილდოვების ცერემონიალის შემდეგ ბერძენმა. — ჩემი ამოცანა 25 წამში ჩატევა გახლდათ. ვგრძნობდი, რომ კარგ ფორმაში ვიყავი და მედალს მოვიგებდი, მაგრამ ყველას თუ გავასწრებდი, არ მეგონა."

ბრინჯაოს მედალი ბრიტანელმა ლაიამ ტრენკოკმა მოიპოვა. იგი 25 წამში ვერ ჩაეტია, მისი დრო 25,02 გახლდათ, მაგრამ მაინც კმაყოფილი დარჩა.

„კმაყოფილი ვარ, რადგან პირადი შედეგი გავაუმჯობესე და ბრიტანეთის რეკორდიც დავამყარე" — განაცხადა ტრენკოკმა.

ქალთა 50 მეტრიან ბრასში კი ავსტრალიელმა ჯეიდ ედმინსტოუნმა მსოფლიოს რეკორდი გააუმჯობესა. ამიერიდან პლანეტის საუკეთესო შედეგია 30,45 წამი. რაც შეეხება წინა რეკორდსმენსა და უსწრაფესს, ბრიტანელ ზოი ბეიკერს, იგი მეხუთე ადგილით დაკმაყოფილდა.



400 მეტრზე ცურვაში გამარჯვებული ამერიკელი კეიტ ჰოფი

ჯედ ედმინსტოუნი: „აუზში იმის რწმენით გადავეშვი, რომ ჩემთვის ბედნიერი დღე იდგა და აუცილებლად გავიმარჯვებდი. გუშინდლიდან რწმენით ვიყავი აღსავსე და დღესაც იმედით, მშვიდად მოვედი შეჯიბრებაზე."

მეორე ადგილი ამერიკელმა ჯესიკა ჰარდმა მოიგო. მანამდე 100 მეტრზეც ვერცხლის მედალიც მოიპოვა, მესამეზე კი ჩემპიონის თანამემამულე, ასევე ავსტრალიელი ბრუკ ჰენსონი გავიდა. მეორის შედეგი გახლდათ 30,85 ხოლო მესამის — 30,89.

„ჯეიდმა რომ ოქროც მოიგო და მსოფლიოს რეკორდიც დაამყარა, ბედნიერი ვარ. მისი შედეგი ავსტრალიისთვის ძალიან კარგია. რაც შემეხება მე, პირადი რეკორდი დავამყარე და ბრინჯაოც მოვიგე, რაც, ვფიქრობ, ცუდი შედეგი არ უნდა იყოს."

ვაჟთა კომპლექსური 400 მეტრზე ცურვაში უნგრელმა ლასლო ჟეჰმა თავიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა და ბოლომდე არ გაუშვია.

„მინდოდა შესაძლებლობისდაგვარად კარგი შედეგი მეჩვენებინა, — განაცხადა უნგრელმა. — ფეხის ტრავმის გამო მთელი ორი კვირის განმავლობაში ვერ ვცურავდი, ამიტომ დღეს უკიდურესად მობილიზებული გახლდით."

საბოლოოდ საწყლოსნო სახეობათა მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლები ასე განაწილდა

### მედლების დაფა

| | ოქრ | ვერ | ბრინ | სულ |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 15 | 11 | 6 | 32 |
| ავსტრალია | 13 | 5 | 4 | 22 |
| ზიმბაბვე | 2 | 2 | 0 | 4 |
| ს. აფრიკა | 2 | 1 | 2 | 5 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 1 | 4 |
| პოლონეთი | 2 | 0 | 2 | 4 |
| გერმანია | 1 | 3 | 2 | 6 |
| იტალია | 1 | 2 | 0 | 3 |
| უნგრეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| საბერძნეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| კანადა | 0 | 4 | 1 | 5 |
| იაპონია | 0 | 3 | 6 | 9 |
| რუსეთი | 0 | 2 | 1 | 3 |
| ჩინეთი | 0 | 1 | 4 | 5 |
| შვედეთი | 0 | 1 | 2 | 3 |
| ავსტრია | 0 | 1 | 1 | 2 |
| ხორვატია | 0 | 1 | 0 | 1 |
| შვეიცარია | 0 | 1 | 0 | 1 |
| პოლონეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| დ. ბრიტან | 0 | 0 | 3 | 3 |
| უკრაინა | 0 | 0 | 2 | 2 |
| ტუნისი | 0 | 0 | 2 | 2 |



4X100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში შეჯიბრების მომენტი

# ბერიკაც სპორტსმენთა ტრაგიკული აღსასრული

**ტრაგიკულად** დამთავრდა ამ უქმეებზე ნორვეგიის ქალაქ ოლენის შემოგარენში გამართული შეჯიბრება სპორტულ ორიენტირებაში. თავდაპირველად ტრაგედია თავს დაატყდა 70 წლის ერთ მონაწილეს, რომელსაც დისტანციაზე გული წაუვიდა, მერე კი გარდაიცვალა. კიდევ ცოტა ხნის მერე კიდევ ერთი ტრაგიკული შემთხვევის თაობაზე მოვიდა ცნობა. უკვე შეჯიბრების დასრულების შემდეგ თავი ცუდად იგრძნო 60 წლის სპორტსმენმა, რომლის გადარჩენა ვეღარაფრით შეძლეს და მანაც სულიც განუტევა.

ოლენში, რომელიც ცნობილი სათხილამურო ცენტრია, ამგვარი შეჯიბრება 35-ედ ჩატარდა, მაგრამ მსგავსი ტრაგედია აქამდე არ მომხდარა.

# აფრინდა, აფრინდა, აკრობატი აფრინდა

**შაბათს** ბერლინში საზეიმოდ გაიხსნა სტადიონი, სადაც ევროპის 2008 წლის ფეხბურთელთა ჩემპიონატის მატჩები გაიმართება. ამგვარი ღონისძიება, მოგეხსენებათ, მუდამ გამოირჩევა რაიმე ორიგინალური კულტურული პროგრამით. ამ შემთხვევაში ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს მაყურებლისთვის ეჩვენებინათ აკრობატული შოუ. მაგრამ, აი, ერთ-ერთმა აკრობატთაგანმა ისეთი ეფექტური რამ წარმოადგინა, რასაც თავად ორგანიზატორები ვერც იფიქრებდნენ.

ეს კი ასე მოხდა: აკრობატი, რომელიც ჰელიუმით სავსე ბალონზე იყო მიმაგრებული, საკუთარ ოსტატობას აჩვენებდა. ამ დემონსტრირებისას ბალონმა რატომღაც გაგლიჯა სამაგრი მოწყობილობები და აფრინდა. აგრეგატთან ერთად აფრინდა თავად აკრობატიც, ისევე როგორც 1980 წელს მისკოვის ოლიმპიური თამაშების დახურვისას მიშკა. ჰოდა, აკრობატმა იმ მიშკასავით სტადიონის „საჰაერო სივრცე" დატოვა...

ბალონში ჰელიუმი მალე ამოიწურა და უიღბლო აკრობატი დედამიწისკენ დაეშვა. იგი პოლიციამ ავტოსადგომის სახურავზე იპოვა, რომელიც სტადიონის მიმდებარედ მდებარეობდა.

ექიმებმა საბრალო აკრობატს დაუდგინეს ზურგის სერიოზული ტრავმა და ტვინის შერყევა.

# სექს-სიმბოლო საქორწინო გვირგვინს უტრიალებს



**იტალიელ** ფრენბურთელთა სექს-სიმბოლომ, მაურიციო კანიტერომ ბოლოს და ბოლოს გათხოვება გადაწყვიტა. ეს 32 წლის სპორტსმენი 15 აგვისტოს ესპანელ კალათბურთელ სანტიაგო ტოლედოზე იქორწინებს, ვისაც ბოლო თვეების განმავლობაში ხვდებოდა.

საქორწინო ცერემონიალი ლას-პალმასში, კანარის კუნძულების პორტში გაიმართება. ეს ადგილი მიჯნურებმა ერთხმად აირჩიეს — ლას-პალმასი ხომ ძალზე რომანტიკული ადგილია.

მაურიციო ამბობს, რომ სტუმრები არავითარ უხერხულობას არ იგრძნობენ და თითოეული მათგანი თავისი გემოვნების შესაფერის გასართობს მონახავსო.

ერთადერთი, რაც საპატარძლოს ახლობლებს აღელვებთ, ისაა, რომ მართლაც იქორწინებს თუ არა მაურიციო, ეჭვის საფუძველი კი მათ ნამდვილად აქვთ.

საქმე ისაა, რომ აქამდე მაურიციო თავისი დიდი ხნის მეგობარ [illegible] აპირებდა გათხოვებას, მაგრამ სულ ბოლო მომენტში საპატარძლომ დაიჭირა ფეხი და გაიქცა, რითაც საქმროც და ახლობლებიც გაოგნებულნი დატოვა.



## მინა და რგოლა

ლამის მიწას შეეზილილა ფრანგი მოტომრბოლი მიშელ ბიმო, ის იღებს MX1 ტიპის მოტოთა გრან პრის მონაგვებად, რომელიც კვირას ვალონში ჩაიმართა.



# აფრები, აფრები...

ტრუბლებთან ახლოს რომ ციხეა, მისი ფესვები შუასაუკუნეებიდან მოდის, ხოლო წყალზე რომ რეგატა გახურებულა, ოდენ 60-წლიან ისტორიას მოითვლის. ამბავი ორიდ ლეიკში ხდება და ამ აფროსნობაში სულ 80 ნავი მონაწილეობს.





# ნეთბოლური ფინალი

სპორტის ამ სახეობის პრინციპი თითქმის იგივეა, რაც კალათბურთისა — ბურთი კალათში უნდა მოათავსო, მაგრამ ამ თამაშის მიმდევრებს საერთო არაფერი აქვთ კალათბურთთან. ამ ფოტოზე კი ნეთბოლის დღევანდელობის საუკეთესო სპორტსმენები არიან გამოსახულნი, რაკი ეპიზოდი იმ მატჩიდანაა. მსოფლიოს ჩემპიონი რომ უნდა გამოავლინოს. ახალზელანდიელი ჯესიკა ტუკი ინგლისელ ჯევა მენტორს უფარებს, მატჩი კი ფლორიდის შტატში, ფორტ ლოდერდეილში მიმდინარეობს.



# ფინელი ჩემპიონი და ესპანელი მომღერალი

სადაც საფორმულე გრან პრი თამაშდება, ცნობილი სახეების ადგილიც იქაა. ერთადერთი აღმოსავლეთევროპული რბოლა ჯერ არ გახურებულა, სახელოვანი ხალხი კი ერთმანეთს ესალმება ბუდაპეშტის ჰუნგარორინგზე. თუნდაც აქეთ გავიხედოთ, ფორმულა ერთის ერთადერთი ფინელი ჩემპიონი მიკა ჰაკინენი ესპანელი მომღერალ პლასიდო დომინგოს ემუსაიფება.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კვლაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვიტლაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge